# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 13 დეკემბერი, 2011 წელი.

№234 (6865)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge  ვებ გვერდი: www.open.ge  ფასი 50 თეთრი.


# „ქართული ოცნება“ გარეთ გამოდის

## ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის პრეზენტაცია



ერთი ხანია, საქართველოს საზოგადოებრიობა ქართულ ოცნებაზე ოცნებობს.

ეს უბრალოდ, შემთხვევით მიგნებული კალამბური როდია.

ხალხი გადაეჩვია ოცნებას.

ან რაზე უნდა იოცნებოს მთელი დღე ბაზრობაზე, ყინვასა თუ ხვატში მოწოწიალე ხანდაზმულმა კაცმა თუ ქალმა;

სადღაც ერთ უბადრუკ ოთახში ოჯახით შეტენილმა დევნილმა;

ლუკმაპურის საძებრად ცხრა მთას იქით გადაკარგულმა ქალმა თუ კაცმა;

გატიალებული ქარხნებისა და დაცარიელებული სოფლების შემხედვარე ადამიანმა, რომელსაც არავითარი სახვალიო სახსარი და იმედი არ დარჩა.

და გადაეჩვია ქართველი ოცნებას.

ის მხოლოდ დღევანდელი პირქუში დღით ცხოვრობს.

ამიტომ ასეთი იმედითა და მოუთმენლობით ჩაეჭიდა „ქართული ოცნების“ იდეას.

ამიტომაც ზღვა ხალხი მიაწყდა 11 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზს, სადაც საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია გაიმართა.

დარბაზი, რომელიც 2500 კაცს იტევს, ისე გაიჭედა, როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა.

მაგრამ სამჯერ იმდენმა ადამიანმა ფოიე შეავსო, დარბაზის გარეთ ალყად მოჯარდა და უზარმაზარი ტელეეკრანებით ადევნებდა თვალყურს პრეზენტაციის მსვლელობას.

საზოგადოება მრავალფეროვანი იყო, ყველა ასაკის, ეროვნების, სოციალური მდგომარეობის ადამიანს ნახავდით.

უხვად იყო ახალგაზრდობა.

პარტიები – აგერ-ეგერ!

ესეც ნიშანდობლივია.

ღონისძიება დაიწყო ბიძინა ივანიშვილის ვაჟის ბერას რეპკომპოზიციით.

გამოსვლები ცოტა და მოკლე იყო: პოეტი რატი ამაღლობელი, მწერალი ნაირა გელაშვილი, ადვოკატი მანანა კობახიძე, ფეხბურთელი კახი კალაძე, მწერალი გურამ ოდიშარია.

მათ ილაპარაკეს დღეს ქვეყნად შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე, იმაზე, რომ ჩვენ კვლავ უნდა დავიბრუნოთ დაკარგული ხმა, აღვიდგინოთ უფლება, უპირველეს ყოვლისა, იმის უფლება, რომ ამ ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები ვართ და გვაქვს უფლება, გვიყვარდეს ქვეყანა და ვმონაწილეობდეთ მის ცხოვრებაში, რომ ეს არ არის მხოლოდ „ელიტის“ საქმე.

ემოციური და „დაჭედილი“ იყო საზოგადოებრივი მოძრაობის გამგეობის თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა (**იბეჭდება დღევანდელი ნომრის მეორე-მესამე გვერდებზე**).

თითქოს ყველაფერი გარკვეული და ნათელია. მაგრამ, როგორც ჩანს, საზოგადოებაში კვლავ არის კითხვები. ეს კითხვები მოვისმინე დარბაზიდან გამოსვლისას თუ გზაში.

უმთავრესი ეს იყო: ახალი რა ითქვაო, ისედაც კარგად ვიცით, რა დაქცეული ქვეყანა და აუტანელი ყოფა გვაქვს, ამ ყველაფრიდან გამოსვლის კონკრეტულ გეგმას ველოდებით, ამაზე კი დაზუსტებით არაფერი თქმულაო.

მაგრამ მათ, ამ კითხვების დამსმელებს, მხედველობიდან გამორჩათ, რომ ეს იყო ამ საზოგადოებრივი მოძრაობის ქვეყნისთვის წარდგენა, მხოლოდ პრეზენტაცია. ხოლო კონკრეტული გეგმები საზოგადოებას გაეცნობა შემდგომ, არა მიტინგურად, სცენიდან, არამედ დალაგებულად, დაზუსტებულად, გამოკვეთილად.

ამჯერად კი ითქვა ზოგადად, როგორც განცხადება, როგორც დეკლარაცია.

ერთ მომენტზე მინდა კიდევ ვთქვა, იმავე საღამოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ქ-ნმა კვესიტაძემ რომ ღეჭა და ღეჭა.

გამოსვლისას ცნობილმა ფეხბურთელმა, ეროვნული ნაკრების კაპიტანმა კახი კალაძემ განაცხადა, ეროვნული ნაკრებიდან მივდივარო.

თუ რა სარჩული აქვს მის ამ განზრახვას, არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ქალბატონი კვესიტაძე თავგამოდებით ჩააფრინდა ამ განცხადებას, გინდა თუ არა, პოლიტიკური სარჩული უდევსო, ხალხმა რატომ დაუკრა ტაშიო.

იტყვის, ალბათ, ის კაცი უფრო გამოწვლილვით თავის ამ ნაბიჯზე! რაც შეეხება ხალხის ტაშს, ის პატივმიგება უფრო იყო მისი სპორტული ღვაწლისა, და ყველაფრისთვის კუდის გამობმა საჭირო არ არის. არც იმისთვის, თუ კახის ნაბიჯი მართლაც პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ეფუძნება. პატივი ვცეთ ადამიანის აზრს.

ასე დასრულდა ეს დიდი ხნის ნაოცნებარი დღე. ხვალიდან კონკრეტულ საქმეებს ველით!

**სანდრო ალექსიძე**

## „მიშისტები“ ერთგულებას უცხადებენ ხელისუფლებას, განურჩევლად იმისა, რას ფიქრობენ სინამდვილეში

4

ჭაბუა ამირეჯიბი:



## ქართველებო, ხელიდან არ გაუშვათ ღმრთივ ბოძებული შესაძლებლობა!

3

## მზად არა ვართ რუსეთის დანგრევა გვიხაროდეს, რადგან ამ ნანგრევებში, შესაძლოა, ჩვენც მოვყვეთ

6

# ერთად ავაშენოთ თავისუფალი, ღირსეული მოქალაქეებით დასახლებული, ყველასთვის საოცნებო საქართველო!

## საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ გამგეობის თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის მოხსენება ამავე მოძრაობის საპრეზენტაციო კონფერენციაზე (11 დეკემბერი, 2011)



პირველ რიგში, მინდა მოგესალმოთ ყველას, ვინც მოახერხეთ და დღეს ჩვენთან ერთად ხართ ამ დარბაზში ან დარბაზის გარეთ შეიკრიბეთ. თქვენთან ერთად მივესალმები მათ, ვინც ტელეეკრანებთან და რადიომიმღებებთან ადევნებს თვალყურს ჩვენს შეკრებას.

მივესალმები მათ, ვინც ვერ გვიყურებს და ვერ გვისმენს, მაგრამ ჩვენსავით ფიქრობს. მივესალმები მათაც, ვინც ჩვენსავით არ ფიქრობს, მაგრამ ასევე უყვარს საქართველო და ოცნებობს მის საუკეთესო მომავალზე.

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა უფრო ფართო შეკრების მოწყობა, თუმცა წინ კიდევ ბევრი, დიდი თუ პატარა შეკრება გველის და საბოლოოდ მთელ ქვეყანას ერთ მუშტად შევკრავთ თავისუფალი არჩევნების მოსაპოვებლად.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ იქმნება როგორც საზოგადოების გამაერთიანებელი ძალა, რათა განხორციელდეს საზოგადოების კონტროლი და გავლენა სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებზე.

ძლიერმა მაღალი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის ბედი და მომავალი. ხალხი უნდა მონაწილეობდეს ქვეყნის მართვაში და აკონტროლებდეს არჩეულ ხელისუფლებას.

მოძრაობა შექმნის რეგიონალურ სტრუქტურებს, რომელთა მთავარი ამოცანა იქნება სამართლიანი საარჩევნო გარემოს დამკვიდრებისათვის საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია, რათა დემოკრატიული არჩევნების გზით ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც ხალხი დაუჭერს მხარს.

საზოგადოებრივი მოძრაობა მოიზიდავს გამოცდილ პროფესიონალებს ისეთ საკითხებზე სამსჯელოდ, როგორიცაა: მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა, ეკოლოგია, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, მეცნიერება, კულტურა, საგარეო პოლიტიკა, კონფლიქტების მოგვარება, რეგიონალური პოლიტიკა, ადგილობრივი თვითმმართველობა, ეროვნული უმცირესობები, უსაფრთხოება, ახალგაზრდობა და სპორტი.

შესაბამისი თემატური ჯგუფები შეისწავლიან ცალკეულ დარგებში არსებულ ვითარებას და შეიმუშავებენ განვითარების ეფექტიან მოდელებს. ჯგუფებში გაიმართება კონსულტაციები კონკრეტული სფეროების ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან.

ჩვენი მიზანია სახელმწიფოს აღმშენებლობა იმ დემოკრატიულ სტანდარტებსა და პრინციპებზე დაყრდნობით, რომელთაც ვერ უზრუნველყოფს არსებული ხელისუფლება.

2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“, თავდაპირველი წარმატებების მიუხედავად, ვერ გაამართლა საზოგადოების უდიდესი ნაწილის მოლოდინი.

სამოქალაქო საზოგადოება უხეშადაა ჩამოშორებული სახელმწიფოს მართვას. მოშლილია ადგილობრივი თვითმმართველობა. არჩევითი ორგანოები მმართველ ელიტას ემსახურებიან.

აბუჩადაა აგდებული ქვეყნის კონსტიტუცია. მისი გადაკეთებისა და ერთ ადამიანზე მორგების დამკვიდრებული პრაქტიკა ყოველგვარ სამართლებრივ და მორალურ ნორმებს სცილდება.

ნორმად იქცა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გაუმჭვირვალობა და არამიზნობრივი გამოყენება. გამეფებულია ელიტარული კორუფცია.

ადამიანის უფლებები პრაქტიკულად ყველა სფეროში ირღვევა. ციხეებში პოლიტიკური, უკანონო თუ მცირე დანაშაულის მქონე ათასობით პატიმარია გამომწყვდეული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის პირობებში. ზეწოლა ხორციელდება მათ ოჯახებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელისუფლება არჩევნებისთვის ემზადება, ან შექმნილი ვითარებით უფლებადამცველები ინტერესდებიან.

მასმედიის დიდი ნაწილი ხელისუფლების მორჩილებასა და საზოგადოების დეზინფორმაციაზეა ორიენტირებული. სამოქალაქო საზოგადოებას უკიდურესად შეზღუდული აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ობიექტური ინფორმაცია.

ქვეყანაში დამკვიდრდა ე.წ. ნომენკლატურული კაპიტალიზმი, რაც გულისხმობს ბიზნესის ლოიალობას და, ხშირ შემთხვევაში, სრულ ინტეგრაციას ხელისუფლებასთან. ეს გარემოება თავისთავად გამორიცხავს თავისუფალი კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებას და, შესაბამისად, სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას.

შედეგად მივიღეთ მონოპოლიებითა და კარტელური შეთანხმებებით მართული ეკონომიკა. ქვეყანაში არ არსებობს საშუალო ფენის, როგორც მდგარდი ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის მთავარი გარანტის, ჩამოყალიბების წინაპირობა.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ არსებული ვითარება მოსწონთ იმ ბიზნესმენებს ან ჟურნალისტებს, რომლებიც ამ მანკიერი თამაშის წესებს ემორჩილებიან. დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე ისინიც ჩვენ გვერდით იქნებიან საქართველოს უკეთესი მომავლის მშენებლობაში.

უმუშევრობა ინტენსიურად მატულობს. დამახინჯებული ოფიციალური მონაცემების მიხედვითაც კი, ტენდენცია მკვეთრად უარყოფითია. უკიდურესად დამძიმდა ვითარება სოფლად. სოფელი ღატაკდება და იცლება.

დემოგრაფიული მაჩვენებლების ვარდნა ჩვენი შვილების თაობას ნაციონალურ კატასტროფას უქადის. ასიათასობით ჩვენი მოქალაქე, ქართველი თუ არაქართველი, გადახვეწილია ქვეყნიდან და, ხშირ შემთხვევაში, მონური შრომით ახერხებს ფიზიკურ გადარჩენას.

ცალკეული სოციალური პროგრამების მიუხედავად, არც ერთი წარმატებული რეფორმა არ განხორციელებულა ჯანდაცვის სფეროში.

მოშლილია განათლების სფერო, ხოლო მეტ-ნაკლებად წარმატებულ სასწავლებლებში დაწესებული გადასახადები მრავალი ოჯახისათვის ხელმიუწვდომელია. უყურადღებოდაა მიტოვებული ქართული კულტურა, ანუ ის, რითაც ჩვენ ყოველთვის ვამაყობდით.

საქართველოს უმძიმესი დარტყმა მიაყენა 2008 წლის აგვისტოს ომმა. უბედურება ეწვია მრავალ ქართულ, აფხაზურ და ოსურ ოჯახს, კონფლიქტებით გავლებული საზღვრების სხვადასხვა მხარეს დარჩნენ ოჯახის წევრები და ახლობლები. საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი ოკუპირებულია. სავალალო პირობებში ცხოვრობს ათასობით დევნილი.

საერთაშორისო ორგანიზაციების მასალების ანალიზი მოწმობს, რომ შესაძლებელი იყო კონფლიქტის ესკალაციის არიდება. უფრო მეტიც, შესაძლებელი იყო სამშვიდობო პროცესების წარმატებით განვითარება, რომ არა ხელისუფლების მიერ დაშვებული მძიმე შეცდომები.

ხელისუფლებას არა აქვს კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკური რესურსები. არ არსებობს არც გეგმაზომიერი სტრატეგია, ხედვა მაინც, რომლის განვითარების ხელშესაწყობად მზად იქნებოდა საერთაშორისო თანამეგობრობა.

ხელისუფლების „სტრატეგიის“ ერთადერთ მიმართულებად რჩება აპრობირებული „რუსული საფრთხის პრევენციის“ პრინციპი. ხელისუფლება ამ მოტივით ამართლებს სხვადასხვა ბრალდებით პოლიტიკურად აქტიური პირების დაჭერას, შპიონაჟის და ტერორიზმის ისტერიას, მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვებს.

რუსეთის აგრესიასთან „პერმანენტული ბრძოლის“ მიზეზითვე ამართლებენ 2011 წლის 26 მაისს საპროტესტო აქციის განსაკუთრებული სისასტიკით დარბევას.

სახელისუფლებო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად იქცა მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციის და შიდა დაპირისპირების გაღვივების მცდელობა. რომ არა პატრიარქის სიბრძნე, გარდაუვალი იქნებოდა კონფრონტაცია კონფესიებსა და ეროვნებებს შორის, რომელთა მშვიდობიანი თანაცხოვრებით ამაყობს ჩვენი ქვეყანა.

როგორც წესი, ხელისუფლებას მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ახსენდება ჩვენი თანამემამულე ეთნიკური უმცირესობები. თვალშისაცემია საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის მინიმალური ხარისხი. უკიდურესად დაბალია მმართველ რგოლებში მათი წარმომადგენლობის დონე.

თვითნებურად ყალიბდება საარჩევნო კანონმდებლობა. საგანგებო სახელისუფლებო ჯგუფი მუშაობს გაყალბების უკვე გამოყენებული პრაქტიკისა და მეთოდების დასახვეწად.

ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ჩვენი სრული გაუცხოება სამშობლოსგან. მისი იდეოლოგია არის აპათია, მისი გეგმაა – გათიშე და იბატონე, მისი ლოზუნგია – ვინც ჩემთან არაა, ჩემი მტერია.

განსაკუთრებით მინდა შევეხო ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის აუცილებელი რეფორმებისა და, ზოგადად, ცვლილებების თავსებადობას საზოგადოების მოთხოვნებთან. ჩემი ღრმა რწმენით, არაადეკვატური მართვის სტრატეგიის გამო, დღეს რეფორმის ცნება აშკარად დამახინჯებულია.

რეფორმებად წოდებულმა გაუაზრებელმა მოქმედებებმა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარიყა ინტელექტუალური და შრომითი რესურსების დიდი ნაწილი.

რეფორმებმა, რომლებზეც ხელისუფლება გამუდმებით საუბრობს, დიდი ხანია ხალხზე ჩატარებული ცინიკური ექსპერიმენტის ხასიათი მიიღო. რეფორმებით მართლდება უმუშევრობა, სოციალური სიდუხჭირე, ჩამორჩენა განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში, ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობაში,



სავალალო მდგომარეობა სასამართლო ხელისუფლების სისტემაში.

ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, რომ მათი ფსევდორეფორმებით აღშფოთების მიზეზი ქართული საზოგადოების მენტალიტეტია, თითქოს ქართული კულტურა ძნელად თავსებადია ლიბერალური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებთან. მათ მიაჩნიათ, რომ საზოგადოება ბნელია და ეწინააღმდეგება მისთვისვე სასიკეთო ცვლილებებს.

სინამდვილეში საქმე, სწორედ რომ, პირიქით არის. მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის უნიკალობა იმითაც გამოიხატება, რომ ქართველი ხალხი შეუცდომლად გრძნობს და მხარს უჭერს ხოლმე ისეთ ნოვაციასა და ცვლილებებს, რაც ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებშია.

ჩვენს საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს წესრიგის, კანონიერების, სამართლიანობის მოთხოვნა. ვიმეორებ, ხალხი მზადაა, მიიღოს და მხარი დაუჭიროს ისეთ რეფორმებს, რომლებიც რეალურად პასუხობს მათ ინტერესებს.

ამის ნათელი ნიმუშია ის ორი პრეცედენტი, რომელიც ამ გაუზრებელი, არსებითად თვითმიზნური რეფორმების პროცესში გამოვლინდა. ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამ კორუფციის სამარცხვინო ლაქა ჩამორეცხა საქართველოს განათლების სისტემას. საზოგადოება ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ხელისუფლების ამ ნოვაციას, მაგრამ ამ კონკრეტული რეფორმის იქით განათლების სისტემაში უმძიმესი შეცდომებია დაშვებული.

წარმატებული იყო სამართალდამცავი სისტემის რეფორმაც, რომლის შედეგად მივიღეთ არაკორუმპირებული, კრიმინალთან ეფექტიანად მებრძოლი პოლიცია. ამ რეფორმას საქართველოში არ მოჰყოლია რაიმე რყევა, იგი მიმდინარეობდა, სწორედ რომ, ქართული საზოგადოების გამოკვეთილი მხარდაჭერის ფონზე.



დღეს საქართველოს პოლიციაში ათასობით ჩვენი თანამემამულე მუშაობს პროფესიული ღირსების შეგნებით. მით უფრო სამწუხაროა, რომ ასეთ თვალსაჩინო წარმატებას თან მოჰყვა განუკითხავი სადამსჯელო ოპერაციები, გაუმართლებელი ადამიანური მსხვერპლი და, რაც მთავარია, სამართალდაცვის სტრუქტურების დაუფარავი პოლიტიზაცია, როდესაც მათ ხელისუფლება საზოგადოების დათრგუნვისა და დაშინების იარაღად იყენებს. ეს ანგრევს მიღწეულ წარმატებას.

ჩვენ ისეთი სახელმწიფო გვჭირდება, სადაც სახელმწიფო ბიუროკრატია ემსახურება ხალხს და არა მმართველ პოლიტიკურ ელიტას.

საზოგადოების მოთხოვნაა სამართლიანობა და არა რეპრესია, რასაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით დაწყებული საშუალო სკოლებიდან, დამთავრებული სასამართლო ხელისუფლებით.

ხელისუფლებისთვის ჩვენ ყველა – სხვაგვარად მოაზროვნეები, ქვეყნის მტრები და მოღალატეები ვხდებით მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ ნაციონალურ მოძრაობას ან მის ლიდერს კი არ ვუპირისპირდებით, არამედ ვითხოვთ სამართლიან სასამართლოს, გამჭვირვალე საარჩევნო სიებს, თავისუფალ მედიას, ანუ უბრალოდ ვიცავთ ჩვენს კონსტიტუციურ უფლებებს. უფლებებს, რომლებმაც ჩვენ და ჩვენი სამშობლო ცივილიზებული სამყაროს ნაწილად უნდა აქციოს.

დღეს ჩვენ ისეთი სახელმწიფოს მოქალაქეები ვართ, რომლის მმართველიც, მის მიერ ჩადენილ შეცდომათა გამო, მიუღებელია საერთაშორისო და საშინაო ასპარეზზე. ხელისუფლებამ სრულად ამოწურა ყველა საშინაო და საგარეო კაპიტალი და იქცა მთავარ ხელშემშლელ ძალად ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების გზაზე.

დადგა დრო, თვალი გავუსწოროთ სიმართლეს და ჩვენს თავს დავუსვათ შეკითხვა: ხომ არ შეეგუა საქართველოს საზოგადოება არსებულ რეალობას – იმას, რომ გვისმენენ და გვითვალთვალებენ, უტიფრად გვატყუებენ, ღირსებას გვილახავენ, ხომ არ შევეგუეთ იმას, რომ „უპურო სანახაობის" ქვეყანაში ვცხოვრობთ.

დადგა დრო, დავუბრუნოთ საქართველოს წარსული და ავაშენოთ ღირსეული მომავალი, ვიყოთ პირნათელი წინაპრებისა და მომავალი თაობის წინაშე.

**მიგვაჩნია რომ:**

სახელმწიფოს მართვის სისტემა უნდა დავაფუძნოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების განუხრელ დაცვაზე;

უნდა აღვადგინოთ ბალანსი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის, რაც გამორიცხავს ძალაუფლების თავმოყრას ერთი პოლიტიკური ძალის ხელში და ავტორიტარულ მმართველობას;

ნებისმიერი საკონსტიტუციო ცვლილება ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონი უნდა მივიღოთ მხოლოდ საზოგადოებასთან კონსულტაციების საფუძველზე;

მთავრობის საქმიანობა უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და მისი დამქირავებლის – საქართველოს ხალხის ინტერესების გამომხატველი, როგორც საბიუჯეტო ხარჯების, ისე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისას;

მედია უნდა გავათავისუფლოთ სახელმწიფო კონტროლისგან, იგი უნდა იქცეს ხელისუფლების კონტროლის მექანიზმად, რაც საზოგადოებას საშუალებას მისცემს, მრავალმხრივი, მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე გააკეთოს არჩევანი;

სასამართლო უნდა დავიცვათ ნებისმიერი გარე გავლენისგან, ხოლო მართლმსაჯულების აღსრულება უნდა დავაფუძნოთ ერთადერთ პრინციპზე – კანონის უზენაესობაზე.

გვწამს, რომ ამ პრინციპებისადმი საზოგადოების თითოეული წევრის ერთგულება „ქართული ოცნების" ასრულებამდე მიგვიყვანს.

## დღეიდან ჩვენი მიზანია:

**ისეთი სახელმწიფოს აშენება, სადაც თითოეული მოქალაქისა და მთელი ქვეყნის კეთილდღეობის წარმატების საწინდარი იქნება პატიოსნება, ღირსება და პროფესიონალიზმი;**

**ჩვენი აფხაზი და ოსი თანამოქალაქეების ნდობის მოპოვება და ქვეყნის გამთლიანება;**

**ჩვენი მოქალაქეების დასაქმება და ღირსეული შემოსავლის უზრუნველყოფა;**

**დასავლური დემოკრატიის ღირებულებათა დანერგვა და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია;**

**სამართლიანობის დამკვიდრება და ჩვენს თანამემამულეებში იმედისა და რწმენის გაძლიერება;**

**ჩვენი მიზანია საქართველოს გამარჯვება და არა ვინმეს დამარცხება.**

**ჩვენ არ ვაპირებთ ახალი ისტორიის დაწერას 2012 წლიდან. ჩვენი ვალია აღვადგინოთ კავშირი წარსულსა და მომავალს შორის და ამ ჯაჭვში შევინარჩუნოთ საქმენიც და ადამიანებიც, რომლებიც ამ წლებში ახერხებდნენ და ემსახურებოდნენ არა ხელისუფლებას, არამედ ქართულ სახელმწიფოს. ჩვენ ერთად უნდა ვაშენოთ მომავლის საქართველო.**

**ჩვენი მიზნების აღსრულება არ არის უბრალოდ ჩვენი არჩევანი, ეს ჩვენი უზენაესი მოვალეობაა.**

**ერთად ავაშენოთ თავისუფალი, ღირსეული მოქალაქეებით დასახლებული, ყველასთვის საოცნებო საქართველო!**

# ქართველებო, ხელიდან არ გაუშვათ ღმრთივ ბოძებული შესაძლებლობა!



**ქალბატონებო და ბატონებო!**

**დღეს ყოველი თქვენგანი მონაწილეა ქართველი ერის მომავალი გამარჯვებებისა. ჩვენი ერის იღბალმა ინება საქართველოში ბრწყინვალე მოღვაწის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის მოვლინება. ჩემი ღრმა რწმენით, სახელდობრ მისი წინამძღოლობით მოხდება საქართველოს ხსნა უბირი თანამედროვეობისაგან და ისეთი ვითარების ჩამოყალიბება, როგორიც ღმერთსა და ადამიანურ გონიერებას განუზრახავს.**

**პატიებას გთხოვთ, რომ ოთხმოცდაათი წლის ავადმყოფი მოხუცი ვარ და ვერ ვინაწილებ ჩვენი ერის სიხარულს ჩვენი პირველი ოფიციალური თავყრილობის გამო.**

**დარწმუნებული ვარ, ჩვენი ერის ეს მოძრაობა გაიმარჯვებს და მსოფლიო დაინახავს, რისი შემძლეა ქართველი ერი ბატონ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით.**

**ქართველებო, ხელიდან არ გაუშვათ ღმრთივ ბოძებული შესაძლებლობა ნაოცნებარი მომავლისათვის ბრძოლაში ისტორიული ახალი გამარჯვებისა!**

**ჩვენთან არს ღმერთი!**

**ჭაბუა ამირეჯიბი – ბერი დავითი**

თბილისი 11.12.2011

## ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოს ოფისი მუშაობას შეუდგა

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების" ოფისი 12 დეკემბრიდან მუშაობას შეუდგა. საზოგადოებრივი მოძრაობის ოფისი განთავსებულია ერეკლე მეორის მოედანზე, ანტონ კათალიკოსის ქუჩა № 3/36-ში. მოქალაქეებს, რომელთაც სურთ დარეგისტრირდნენ საზოგადოებრივი მოძრაობის მხარდამჭერებად, დღეიდან შეეძლებათ, „ქართული ოცნების" ოფისში 10.00 საათიდან 18.00 საათამდე გაიარონ რეგისტრაცია.**

ვითარება

# ვნანობ, რომ გვერდში ვედექი!

## რატომ იდანაშაულებს თავს დალი ლატარია?

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ზუგდიდში ხშირად ჩამოდის, ახალი „იდეებით" და აქ მას ყოველთვის „მშვიდ" და დამჯერ" ხალხს ახვედრებენ. ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი, ქალთა ბატალიონის „ნანას" ყოფილი მეთაური, მიხეილ სააკაშვილის ყოფილი თანამებრძოლი ქალბატონი დალი ლატარია კი საქართველოს პრეზიდენტს არც ამჯერად შეახვედრეს.**

ქალბატონი დალი ამ რამდენიმე წლის წინანდელ ამბავს იხსენებს.

**„თავის დროზე მე მხარში ვედექი მიხეილ სააკაშვილს, დავყვებოდი მთელ სამეგრელოში და მოსახლეობას ვახვედრებდი. ამ ოთხი თუ ხუთი წლის წინათ იყო ჩამოსული ზუგდიდში და მასთან შეხვედრას ვაპირებდი, რომ მეთქვა, მეთხოვა ეროვნულ მოძრაობაში დაღუპული 1500-მდე პირტიტველა ბიჭების ხსოვნის უკვდავსაყოფად ზვიად გამსახურდიას ბიუსტის წინ მემორიალური დაფა გაეკეთებინათ. ეტყობა ამ ფაქტმა გაჟონა და წინა ღამეს სპეცსამსახურების თანამშრომლებმა მოტყუებით გამომიყვანეს სახლიდან, იმ მოტივით, რომ პოლიციის სამმართველოს უფროსს სურდა თურმე ჩემთან შეხვედრა. ამ შეხვედრის ნაცვლად აღმოვჩნდი ქუთაისთან ახლოს ერთ-ერთ იზოლირებულ სახლში. როგორც გაირკვა, ეს სახლი ყოფილა ჩემისთანა გატაცებულთა ჩასამწყვდევი. ამ სახლში გაუსაძლის პირობებში დავყავი 24 საათი და პრეზიდენტის ზუგდიდიდან წასვლის შემდეგ გამათავისუფლეს. ამ დღიდან ჩვენი გზები გაიყარა. მე მიხეილ სააკაშვილის არაფერი მწამს. მან იცოდა ჩემი დაკავების შესახებ და ერთხელაც არ დაინტერესებულა, თუ რატომ დამაკავეს. მე მისი დაუძინებელი მოწინააღმდეგე გავხდი".**

ამ რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტი ზუგდიდში ჩამოსვლისას სპეცსამსახურების თანამშრომლებს დალი ლატარია არც გახსენებიათ. ეტყობა, უკვე აღარ თვლიან მას პრეზიდენტისთვის საშიშ პიროვნებად. ის მოსახლეობასთან პრეზიდენტის შეხვედრას შორიდან ადევნებდა თვალს. **„ზუსტად იმ ადგილას, სადაც მე 4 წლის წინათ მიხელ სააკაშვილთან მინდოდა შეხვედრა, მან მორიგი ტყუილების კორიანტელი დააყენა. მე ზუგდიდელი ვარ და ამ შეხვედრაზე არც ერთი ზუგდიდელი არ მინახავს. ყვითელი ავტობუსებით საიდანღაც იყვნენ მოყვანილნი გაურკვეველი ადგილმდებარეობის ადამიანები. ვცადე ახლოს მისვლა, რათა ამ ხალხისთვის მეთქვა, რომ ისინი მიხეილს სააკაშვილის სიყვარულის კი არა, შიშის გამო იყვნენ მოსულნი, მაგრამ დაცვამ არ შემიშვა",** – განაცხადა დალი ლატარიამ.

ქალბატონი დალი ინანიებს თავის საქციელს. წუხს, რომ ერთ დროს გვერდში ედგა მიხეილ სააკაშვილს და თავგამოდებით იცავდა მას.

**„მიხეილ სააკაშვილს ზუგდიდში არ უშვებდა ბადრი ზარანდია,** – დასძინა ქალბატონმა დალიმ, **– ამის გამო ბევრჯერ წავჩხუბებულვარ მასთან, რამდენჯერ მიწყენინებია ჩემი თანამებრძოლისთვის. ნათელში ამყოფოს მისი სული, ეტყობა, მან ჩემზე კარგად იცოდა, თუ ვინ იყო მიხეილ სააკაშვილი. მე ძალიან განვიცდი ყოველივეს. ყველანი, მეც და ჩემი თანამებრძოლებიც, რომლებიც მიხეილ სააკაშვილს ვედექით გვერდით, ვართ დამნაშავეები და ვითხოვთ პატიებას. ჩვენ ყველანი უნდა მოვესწროთ ისეთ საქართველოში ცხოვრებას, რომელზეც ოცნებობდნენ ზვიადი და მერაბი, არის ამის იმედები, თუმცა შეიძლება, ერთი წელი მოგვიწიოს ლოდინმა ".**

ლადო ქირია

◉ აქტუალური თემა

# „შიშისტები“ ერთგულებას უცხადებენ ხელისუფლებას, განურჩევლად იმისა, რას ფიქრობენ სინამდვილეში



**ექსპერტი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ დღესდღეობით სამეგრელოში, ფიგურალურად რომ ვთქვათ, მუშაობს მუშნი ზარანდია, ბიძინა ივანიშვილმა კი ამ რეგიონში უნდა შეიყვანოს დათა თუთაშხია. ამიტომაც უნდა დასხდნენ ტექნოლოგები და შექმნან დათა თუთაშხია არა აბრაგის, არამედ — პოზიტიური გაგებით. Presage.tv ესაუბრა გია ხუხაშვილს.**

**— რის ხარჯზე ინარჩუნებს „ნაციონალური მოძრაობა“ წარმატებას თუნდაც იაგო კაჭკაჭიშვილის, ან გოჩა ცქიტიშვილის კვლევაში? ეს დასაქმებული ადამიანების ხარჯზე ხდება, თუ ლაზიკას მსგავსი პროექტების აღმშენებლობის დაანონსებით?**

— რაც შეეხება ლაზიკას გახსნას, რა არის, იცით? ხელისუფლება მუდმივად ეძებს ძალიან მოკლევადიან ინტერესს. ახლა ლაზიკა რომ არ აშენდება, ყველას ხომ კარგად გვესმის?! აქედან გამომდინარე, ხელისუფალი ცდილობს, ყოველი დღე გადააგოროს. ლაზიკას იდეაც ამას უკავშირდება. თუ ადრე სააკაშვილი ცდილობდა, რომ რაღაცნაირად დამდგარიყო დავით აღმაშენებლის გვერდზე, დღეს მასში კონკურენტს ხედავს. „და იყავნ ქალაქი“, — გვახსოვს დავით აღმაშენებლის სიტყვები, დაახლოებით ამავე ტექნოლოგიით ცდილობს, იმოქმედოს. საბოლოო ჯამში, შეიძლება, მოკლევადიანი დადებითი შედეგი მიიღოს, მაგრამ გრძელვადიანი, უარყოფითი შედეგი, ყველა შემთხვევაში, გარანტირებული აქვს.

იქიდან გამომდინარე, რომ ლაზიკა არ აშენდება, ხალხი გაიხსენებს, — ამ კაცმა რომ თქვა, სად არის ეს ქალაქიო?! ლაზიკას თემა მოკლევადიანი პიარის თემაა. არა მგონია, ასე დამყოლი აღმოჩნდეს სამეგრელოს მოსახლეობა, რომ მათზე ლაზიკას თემამ იმუშაოს. სამეგრელოში ხელისუფლების უპირატესობა აქამდე იმით აიხსნებოდა, რომ რეალურ ალტერნატივას ვერ ხედავდნენ და შიშის ფაქტორიც იყო. სამეგრელოში ოპოზიციას ყოველთვის ჰქონდა პრობლემები. ამჯერად სამ-სამ რეგიონში გამოკვეთილად იგებს „ნაციონალური მოძრაობა“ (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და სამეგრელო-ზემო სვანეთი) და ბიძინა ივანიშვილის პარტია (თბილისი, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი). მოგეხსენებათ, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში სპეციფიკური მდგომარეობაა, რადგან ეთნიკური უმცირესობით დასახლებული რეგიონებია, სადაც სხვა ტიპის რისკები შეიძლება გაჩნდეს.

**— ძირითადად ვინ არიან „ნაციონალების“ მხარდამჭერები?**

— ადმინისტრაციული რესურსი, ასე ვთქვათ, შეყვარებული ადამიანები, ჩვენ ამის დიდი გამოცდილება გვაქვს საქართველოში. ასევე, სოციოლოგიური კვლევის რეიტინგში გამოჩენილი „შიშისტები“, რომლებიც ყველა შემთხვევაში, ერთგულებას უცხადებენ ხელისუფლებას, განურჩევლად იმისა, რას ფიქრობენ სინამდვილეში.

**— რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს, ამ კვლევებში რამდენიმე მიმართულებით იგი ლიდერობს. ივანიშვილის ასეთი მაღალი რეიტინგი ეიფორიით ხომ არ არის გამოწვეული და არჩევნებისთვის ხომ არ დაიწევს?**

— სწრაფი მატებიდან სწრაფ კლებამდე რისკი, რა თქმა უნდა, მაღალია, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში არ მოხდება, თუ ბიძინა ივანიშვილი ფატალურ შეცდომებს არ დაუშვებს. წინასწარ გეტყვით, ეს მძიმე პოლიტიკური ბრძოლა იქნება.

**— ბოლო დროს ბიძინა ივანიშვილთან მიმართებით თქვენმა სახელმა ეროსი კიწმარიშვილის მხრიდან გაიჟღერა, როცა იგი ფინანსების თემას შეეხო.**

— ბიძინა ივანიშვილს შევხვდი ჯერ კიდევ მის მეორე განცხადებამდე, 8 ოქტომბერს. მანამდე მას არ ვიცნობდი. მისი სურვილი იყო, ჩემთვის თანამშრომლობა შემოეთავაზებინა, რაზეც ძალიან კორექტულად უარი ვუთხარი. თუმცა არ მითქვამს თანამშრომლობაზე უარი რჩევის თვალსაზრისით, ისევე, როგორც ამ სახით არავისთან თანამშრომლობაზე უარს არ ვამბობ. პრეზიდენტ სააკაშვილსაც შევხვდი ორი წლის წინათ, რადგან ვთვლი, რომ ესაა ჩემი პროფესიული მოვალეობა, როგორც ექიმია ვალდებული, ნებისმიერ პაციენტს უმკურნალოს, ასევე ჩემი, როგორც ექსპერტის, ვალდებულებაა, ნებისმიერ პოლიტიკოსს ვეკონტაქტო. რაც შეეხება ეროსი კიწმარიშვილის განცხადებებს, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეროსი კიწმარიშვილი თვლის, რომ იგი „გადაგდებულია“, რომ ის „გადააგდეს“ დამფუძნებლებმა.

ბიძინა ივანიშვილი საერთოდ რა შუაშია ამ თემასთან, მე ვერ გავიგე. „გადავაგდე“ მე, „გადააგდეს“ ჟურნალისტებმა, დღეს მას მთელი საქართველო ეზიზღება, რადგან ის არის „გადაგდებული“. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველამ უნდა ვილოცოთ ეროსისთვის და მაშინ გადარჩება ეს ქვეყანა.

**— ეროსი კიწმარიშვილი აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ „მაესტროს“ დამფუძნებლები 30 ვერცხლად გაიყიდნენ.**

— რა შუაშია ივანიშვილი „მაესტროსთან“? ეროსი კიწმარიშვილი, აბსოლუტურად გაკოტრებული პიროვნება, ყველა საკითხთან დაკავშირებით ხშირხშირად ახსენებს ბიძინა ივანიშვილის გვარს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს მის იმიჯზე რაღაცნაირად აისახოს. ჩვენი საზოგადოება ბევრად უფრო ბრძენია, ვიდრე ეროსი თვლის. ახლა, თუ ცუდი ამინდია, ვისი ბრალია? - ბიძინა ივანიშვილის, კიდევ რაღაცა ხდება? - თურმე ბიძინა ივანიშვილია დამნაშავე. ყველა საკითხს აბრალებს ბიძინა ივანიშვილს. დამერწმუნეთ, ეს ბიძინა ივანიშვილზე პოზიტიურად მუშაობს და არა ნეგატიურად, როგორც ეს ვიღაცას ჰგონია.

**— რით არის განპირობებული, რომ ერთსა და იმავე ქვეყანაში (ამ შემთხვევაში, საქართველოში), ერთსა და იმავე გაჭირვებულ საზოგადოებაში, სხვადასხვა დამკვეთის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა განსხვავებულ შედეგს იძლევა?! ეს საქართველოს ფაქტორით აიხსნება, სადაც ყველაფერი შესაძლებელია, თუ შიშის ფაქტორით?**

— შიშის ფაქტორი არსებობს. სამწუხაროდ, ჩვენ გვყავს საქართველოში მიშისტები და „შიშისტები“, რომელთა პროცენტიც ძალიან დიდია.

**— საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის (რომლის საბჭოს თავმჯდომარეც თქვენ ბრძანდებით) დაკვეთით, იაგო კაჭკაჭიშვილის მიერ ჩატარებული კვლევის დროს, მოსახლეობაში შიშის ფაქტორი არ შეგინიშნავთ?**

— ამ კვლევის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ერთი ძალზე პოზიტიური შედეგი მოიტანა, რომ შიშის ხარისხმა დაიკლო, უფრო მეტი ადამიანი საუბრობს ღიად საკუთარ არჩევანზე, ვიდრე დღემდე საუბრობდა და ეს რა თქმა უნდა, პოზიტივია.

**— IRI-ის დაკვეთით ჩატარებული კვლევის მიმართ თქვენ შეკითხვები გიჩნდებათ, ამიტომაც მიმართეთ ამ საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტს, გააკეთონ განმარტებები პოლიტიკურ რეიტინგებთან დაკავშირებით, რათა საზოგადოებრივი ინტერესი არ დაზარალდეს და ჩრდილი არ მიადგეს სოციოლოგიური კვლევისა და ანალიზის მიმართულებას, ისევე, როგორც თავად — IRI-ის სახელს.**

— უდიდეს პატივისცემას გამოვთქვამ ამ ინსტიტუტის მიმართ. ამ დღეებში „იმედში“ გავრცელდა ინფორმაცია, რასაც თავად IRI (საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი) არ ადასტურებს. ეს არის გაჟონილი ინფორმაცია. დამეთანხმებით, რომ ხშირ შემთხვევაში, წინააღმდეგობრივი ინფორმაცია იყო, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებები სხვადასხვა ციფრებს ასახელებდნენ. აქედან გამომდინარე, IRI-სთან ჩვეულებრივი თანამშრომლობის რეჟიმს ვინარჩუნებთ, ხოლო უნდობლობას ვუცხადებთ იმას, როდესაც წყაროს დაუსახელებლად, ანუ პასუხისმგებელი პირის დაუსახელებლად, ვრცელდება ინფორმაცია და შემდგომ ეს ხდება პროპაგანდისტული მანიპულაციის საგანი. სწორედ ეს არის პრობლემა. თუ IRI დაადასტურებს ამ კვლევების მონაცემებს, ამ შემთხვევაში, ჩვენ მათთან დავსხდებით და ყველა მეცნიერულ თუ სხვა ტიპის საკითხებზე ვისაუბრებთ.

**მანანა ნოზაძე**

◉ დღევანდელობა

# გაუქმებული საგაზეთო ჯიხური ავტოსალაროდ გადააქციეს

თითქმის 2 წელიწადია, კურორტ აბასთუმანში დაიხურა საგაზეთო ჯიხური. არსაიდან — გაზეთები!.. თუ ძალიან გაირჯები და ვინმეს, ახალციხეში წამსვლელს, დიდი ხვეწნით დაავალებ გაზეთის ყიდვას, ესეც დიდი ბედნიერებაა, თან ზედმეტი ლარიც უნდა გადაიხადო.

ასეთ დღეში ვართ, ეს იცის აბასთუმნის საკრებულოს ხელმძღვანელობამაც, რაიონის გამგეობამაც, მაგრამ ვის აინტერესებს შენი პრესა, შენი ინფორმაცია?!

ერთიცაა საგულისხმო, რაიონის თითქმის ყველა სოფელში ბიბლიოთეკები რომ მოქმედებდა, ის დროც წავიდა. რაღაც ორი თუ სამი ბიბლიოთეკა შემოიტოვეს და ცოდვას ვერ ვიტყვი, მათთვის ყოველთვის იწერენ ჟურნალ-გაზეთებს.

ამ მხრივ შესაშური მდგომარეობაა აბასთუმნის საქალაქო ბიბლიოთეკაში. აქ თავის დროზე იწერენ ჟურნალ-გაზეთებს და დაუგვიანებლად, უდანაკარგოდაც შემოდის. მადლობა უნდა ვუთხრათ რაიონის ბიბლიოთეკების ხელმძღვანელს ქალბატონ იზა პეტრიაშვილს. დიახ, განებივრებული ვართ, შემოდის „საქართველოს რესპუბლიკა“, „კვირის პალიტრა“, „ასავალ-დასავალი“, „ლიტერატურული მესხეთი“ ჟურნალი „სარკე“, და სხვ. აქ კი ნელ-ნელა იმხელა რიგები დგება, რომ საცოდაობაა პრესას მონატრებული ადამიანების ცქერა.

მოსახლეობის 90 პროცენტი მაინც მიჯაჭვულია ტელევიზორზე და უნდა თუ არა, მეტი რა გზაა, უნდა უყუროს და უსმინოს იმის გადმოცემულ ტყუილ-მართალს.

ხალხს აბუჩად იგდებენ, შავს თეთრად წარმოადგენენ და ტყუილებით ჭყიპავენ. ხალხი შიმშილობს, არადა ქვეყანა წინ მიდისო!.. არ ვტყუვდებით. კარგად ვხედავთ, რომ „კორუფცია მოისპო, დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ“. რა ვქნათ? ინერვიულე და შეასკდი გულს, ამით რა გამოვა? ელიტა განცხრომაშია, არ აკლიათ გართობა, გასეირნება საზღვარგარეთ, უფულობა შეაწუხებთ თუ... ჩამოჰყავთ ჰოლივუდის ვარსკვლავები, მილიონებს უხდიან და სრულებითაც არ აღელვებთ, თუ ვინმე გამათხოვრებული ნაგვის ურნებში ეძებს საჭმლის ნარჩენებს... ყველანაირი პირობები იქმნება, რომ მშიერმწყურვალი ოჯახის სარჩენად ადამიანები საზღვარგარეთ მიდიან, არავითარ სამუშაოს არ თაკილობენ (უმრავლესობა ხომ ვილაც მდიდარი მიხრწნილი დედაბრის უკანალის მწმენდავია).

„ყველა გზა რომისკენ მიდის“, ჩემი სათქმელი პრესის დეფიციტით დავიწყე და ნაგვის ურნებამდე მივედი. ზოგი ისეა განებივრებული დღევანდელი ყოფით, რომ აღარც პრესა აინტერესებს. და რაიონის თუ დაბის მესვეურთაც რატომ უნდა აიტკივონ თავი პრესაზე ფიქრით? თქვენი შრომა და გარჯა, ძვირფასო ჟურნალისტებო, გმირობის ტოლფასია. ღმერთმა გაგაძლიეროთ! თქვენგან თუ გავიგებთ სიმართლეს, თორემ მთავრობა ყოველ ნაბიჯზე გვატყუებს და თვალში ნაცარს გვაყრის (თუ მოისურვა, ტყვიებსაც დაგვიშენს). ანკი რა ენაღვლება — ჩვენი იმქვეყნად გასტუმრებით საქართველო არ დაიცლება, ერთი ქართველის წასვლას, სამი, ოთხი და მეტი უცხოელის შემოსვლა მოჰყვება...

**ზინა ლობჟანიძე,**
კურორტი აბასთუმანი.

◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### კოკოითი გადადგა



**ოპოზიცია მისი წასვლით გახარებულია. ახლა ისინი ახალი არჩევნებისთვის იწყებენ სამზადისს და ეჭვი აქვთ, რომ კოკოითიმ, რაღაც ცუდი ჩაიფიქრა. ისე, კოკოითს, უფლებამოსილება დღეს ეწურება.**

**„ახალი თაობა“.**

### ლაზიკაში მესხეთელ თურქებს ჩაასახლებენ?!

**„კვირის პალიტრისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ლაზიკაში მესხეთელ თურქებს ჩაასახლებენ. ამბობენ, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოში ჩამოსასახლებლად, რისთვისაც ევროკავშირი სერიოზულ თანხებს გამოყოფს.**

**„კვირის პალიტრა“.**

### საპატრულოს მაღალჩინოსნები დაიჭირეს?!

**„ქრონიკის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, უკვე რამდენიმე დღეა, გასაიდუმლოებულ ვითარებაში თანამდებობიდან მოხსნეს და დაიჭირეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირები.**

**„ქრონიკა“.**

### ქვათა ყვირილი

**პრობლემა, რაზეც ილია ჭავჭავაძე „ქვათა ღაღადში“ საუბრობს, არსად გამქრალა, პირიქით, უფრო მეტი სიმწვავითა და სიმძაფრით დგას ჩვენს წინაშე.**

**„ასავალ-დასავალი“.**

ვინ როგორ ხედავს!



# ველოსიპედის აღმართვა „ვარდების მოედანზე“ ღრმა და უკუღმართი შინაარსის განსხეულებაა

ფორმა უშინაარსოდ წარმოუდგენელია. ყოველი მხატვრული ნაწარმოები, და არა მარტო მხატვრული, არის ფორმისა და შინაარსის ერთობლიობა. თუ რაიმე ფორმაში შინაარსი ვერ დავინახეთ, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მასში შინაარსი არ არის. ზოგჯერ რომელიღაც ფორმას ძველ შინაარსს გამოაცლიან და ახალს ჩაუდებენ, ან ჩატენიან. ხდება შებრუნებითაც: გაუჩნდებათ რაღაც იდეა, მოუძებნიან მას რაღაც ფორმას და ცდილობენ მის ცხოვრებაში დამკვიდრებას. ეს ყველაფერი, როგორც აქსიომა, ისეა მიღებული ყველგან.

მკითხველმა იცის, თუ როგორი ვნებათაღელვა გამოიწვია ვარდების მოედანზე გიგანტური ველოსიპედის აღმართვამ: ამ ადგილზე გიგანტურ-ტინგიცურ ველოსიპედს როგორ უდგამენ ძეგლსო. არ ჯობდა, როგორც პარიზშია, მონმარტზე, კაცი რომ კედლიდან გამოდის, ჩვენც ისეთი ქანდაკება შეგვექმნაო, — აღშფოთებით წერს ჩვენი პრესა.

რადგან ვარდების მოედნიდან დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანაზე უკვე მაქვს გამოთქმული აზრი პრესაში, ვალდებულად ვთვლი თავს, ამ თემაზე ვუთხრა ორიოდ სიტყვა საზოგადოებას.

ძლევამოსილ მეფეს დავით IV-ს, მემატიანემ და ხალხმა აღმაშენებელი უწოდა, რადგან მან ააშენა ქალაქები და სოფლები, ციხე-სიმაგრეები და ტაძრები, ქვეყნის თავდაცვა და ჯარი. ქვეყნის გათავისუფლება და გაძლიერება, წართმეული დედაქალაქისა და ჩვენი ტერიტორიების შემოერთება დავით აღმაშენებელმა მოახერხა ისეთივე ფორმებით და მეთოდებით, როგორებსაც იყენებდნენ მანამდე და მის შემდეგ, სხვა ქვეყნების ძლევამოსილი მეფეები.

ასეთი იყო დიდი მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ ქვეყნის აღმშენებლობა დაიწყო და აგრძელებს არა საყოველთაოდ მიღებული ფორმებით და მეთოდებით. ხელისუფლების წარმომადგენლები მოგზაურობენ ევროპაში, აზიაში, ამერიკაში: ითხოვენ ინვესტიციებს, ეპატიჟებიან უცხო ქვეყნელ ინვესტორებს, რომ ჩვენს ქვეყანაში რაიმე ააშენონ, ხოლო საკუთარ ხალხს საზღვარგარეთ ერეკებიან, რათა იქ დასაქმდნენ ხელზე მოსამსახურეებად, მტვირთავებად, პლანტაციებში მომუშავეებად, რათა აღებული გასამრჯელოთი თავიც შეინახონ და საქართველოშიც გამოაგზავნონ საკუთარი ოჯახებისთვის. იმისთვის, რომ უცხო ქვეყნებში კონკურენტუნარიანნი იყვნენ, საქართველოში მათ ასწავლიან უცხო ენებს, უნარ-ჩვევებს.

ასეთი „თამაშის წესებით“ სურთ ნაციონალებს ქვეყნის აშენება-გაძლიერება.

ძლევამოსილი მეფის ძეგლის „ვარდების მოედნიდან“ გადატანა ნიშნავს, რომ დღევანდელი ხელისუფლება უარს ამბობს საყოველთაოდ მიღებული წესით ქვეყნის აღმშენებლობაზე და გადადის ქვეყნის ისეთი ფორმებით და მეთოდებით მართვაზე, ისეთი „თამაშის წესების“ დამკვიდრებაზე, რომლებიც იდეაშიც კი ქვეყნის დაშლისკენ არის მიმართული. ე. ი. ქვეყნის აღმშენებლობაში ხელისუფლება იგონებს იმ ახალ ველოსიპედს, რომელიც დაიდგა „ვარდების მოედანზე“.

ასე უნდა წავიკითხოთ ვარდების მოედნიდან დიდი დავითის ძეგლის გადატანისა და ველოსიპედის აღმართვის ლონისძიება.

რატომ აქვს ველოსიპედს ორი საჭე?

იმიტომ, რომ დავინახოთ: ამ ქვეყანას დღეს მართავს ერთი პიროვნება — პრეზიდენტი, ხოლო 2012 წლიდან, გატარებული რეფორმების საფუძველზე, მართვაში პრემიერ-მინისტრიც ჩაერთვება.

სხვადასხვა მხარეს მიმართულ საჭეში თუ რა შინაარსია ჩადებული, მკითხველი ადვილად მიხვდება.

ჩვენ არ ვიცით, მოედანზე ველოსიპედის დადგმის იდეა 86 წლის ფრანგ მხატვარს ჟან დიუპის ეკუთვნის, თუ თბილისის მერიის რომელიმე თანამშრომელს, მაგრამ ფაქტია, რომ ველოსიპედში ჩადებულია ღრმა და უკუღმართი შინაარსი.

**ნუგზარ კობახიძე,**
ქ. ბოლნისი

*P. S. არ გამოვრიცხავთ, რომ ფრანგ მხატვარს ორსაჭიან ველოსიპედში სრულიად სხვა იდეა ჰქონდეს ჩადებული. შეიძლება მან ეს იდეა საფრანგეთიდან დაინახა: ველოსიპედის ერთ საჭეს უზის აშშ-ის პრეზიდენტი, მეორეს — საქართველოს პრეზიდენტი და ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით სურთ წაყვანა. პრობლემა არ არის, თუ ველოსიპედი ასე არ წავა. ქართველები „სვარკას“ იშოვნიან იმ ლითონის ღეროს გადასაჭრელად, რომლებიც ბორბლებსა და საჭეებს აერთიანებს; შემდეგ ორივე, საითაც მოესურვებათ, იქით წაიყვანენ ველოსიპედის თავიანთ ნაწილებს.*

*ჩვენი აზრით, ეს პროცესი საქართველოში უკვე დაწყებულია.*

*ნ. კ.*

არასამთავრობო სექტორი

# საია კორუფციის წინააღმდეგ



**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისში მრგვალი მაგიდა გაიმართა თემაზე „დისციპლინური საქმის წარმოების სისტემა საჯარო სამსახურში („კანონმდებლობის სტანდარტებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის მიმოხილვა“).**

ღონისძიების მიზანი იყო საჯარო სამსახურში დისციპლინური წარმოების, როგორც ერთ-ერთი კორუფციასაშიში სფეროს, საკანონმდებლო რეგულირებისა და არსებული პრაქტიკის შესწავლის შედეგების საზოგადოებრიობისთვის გაცნობა. გარდა ამისა — საიას მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე მსჯელობა და მონაწილეების მოსაზრებების მოსმენა და გაზიარება.

საიას საქმიანობის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა ანტიკორუფციული საქმიანობის განხორციელება. ამ მიზნით ის აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ ანტიკორუფციულ საბჭოსთან, ასევე ახორციელებს ანტიკორუფციულ მონიტორინგებს და მომზადებულ ანგარიშებს ფართო საზოგადოებას წარუდგენს.

საჯარო სამსახურის რეფორმა და ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება არაერთი წელია ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად განიხილება საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი შესრულების სამოქმედო გეგმაში“.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით კონკრეტული და ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. საია აქტიურად მუშაობს ანტიკორუფციული მონიტორინგების კუთხით და, ბუნებრივია, მისი ინტერესის სფეროა საჯარო სამსახურის სისტემა, როგორც კორუფციასაშიში სფერო.

საჯარო მოხელეთა ქცევის სტანდარტების თაობაზე დებულებები „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში აისახა 2009 წლის 12 ივნისს. კერძოდ საქართველოს პარლამენტმა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებები შეიტანა. შედეგად გაჩნდა ახალი მე-6 პრიმა თავი, რომელშიც განისაზღვრა ქცევის ზოგადი წესები.

კვლევის მიზანია, აღწეროს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაფინანსების და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების საკითხები.

საია მიიჩნევს, რომ ჩამოთვლილ საკითხებზე მსჯელობა აუცილებელია, რადგან გამართული სისტემის არარსებობის შემთხვევაში, წარმოიშობა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების ალბათობა, რაც საკმაოდ ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის კორუფციის წარმოქმნას.

კვლევა დაეფუძნა 3 ტიპის დოკუმენტაციას. საიამ მოიძია და გააანალიზა საკანონმდებლო ბაზა. შემდეგ ეტაპზე განხორციელდა მონიტორინგი.

მონიტორინგის სუბიექტებს წარმოადგენდნენ საქართველოს მთავრობის კანცელარია, საქართველოს პარლამენტის აპარატი და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ყველა სამინისტროს ცენტრალური აპარატი. ამასთან აღსანიშნავია ის, რომ მოცემული კვლევა არ შეეხო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ეს აიხსნა იმ განსხვავებით, რომელსაც კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ ამ სამინისტროს მიმართ ითვალისწინებს.

კვლევა მოიცავდა პერიოდს 2009 წლის 12 ივნისიდან 2010 წლის ნოემბრამდე.

კვლევის განხორციელების დროს საია მნიშვნელოვანი დაბრკოლების წინაშე არ დამდგარა, თუმცაღა იყო ისეთი საჯარო სამსახურები, რომლებიც იგნორირებას უკეთებდნენ მას ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. მიუხედავად ამისა, საიამ შეძლო ინფორმაციის მოძიება. მათი კვლევა ამ საკითხზე ჯერ არ დასრულებულა.

**ირინა ოზოლაშვილი**

მუსლიმანი მესხები და საქართველო

# ილიაწმინდა აშენებას ელოდება

> **„სარწმუნოების სხვადასხვაობა**
> **ჩვენ არ გვაშინებს,**
> **... ოღონდ მოვიდეს კვლავ ის**
> **ბედნიერი დღე,**
> **რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ**
> **შევუერთდეთ“.**
> **ილია ჭავჭავაძე**

„ოსმალოს საქართველოდან“.... ილიას ეს სიტყვები გამახსენდა, როცა ამას წინათ ევროკავშირის ეგიდით 1944 წელს საქართველოდან გასახლებული მაჰმადიანი მესხების გამოფენა ვნახე. „მესხი — სწავლითა ქებული“, ამბობს პოეტი და ლიტერატურის მუზეუმის ეს გამოფენაც თვალსაჩინო მაგალითია ამისა: ჯერ თურქეთის და მერე რუსეთის იმპერიამ რა ტანჯვა-წამების გზაზე არ ატარეს მესხებში საუკუნეთა მანძილზე, მაგრამ ბოროტებაზე სიკეთის მძლევის დიდი ქართული ოცნება და ოპტიმიზმი მაინც ვერ დააკარგვინეს. ესეც ამ გამოფენის ერთი დიდი სიმბოლიკაა...

და მაინც მთავარი ამ ოპტიმიზმიდან და, თუ გნებავთ, ყველაზე დიდი ქართული ოცნებაც და ნატვრაც:

მოგვწონს-არ მოგვწონს, გლობალიზმს დედამიწა კვლავ ძველი, „უსაზღვრებო მსოფლიოსკენ“ მიჰყავს. რას დავარქმევთ ამას — „ერთიან დემოკრატიულ სივრცეს“, „მსოფლიოს შეერთებულ შტატებს“, თუ „მსოფლიო კონფედერაციას“, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენი და ჩვენი შემდგომი თაობების მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ შევხვდებით მსოფლიოს ამ დიდ ფერისცვალებას — ჩვენებური გულარხეინობით და სხვისი მოიმედობახელშეწყობით, თუ მომავლისადმი დიდი ეროვნული პასუხისმგებლობით. ამაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ვუპასუხებთ გლობალიზმის გამოწვევას.

ილია მაჰმადიან ქართველებს „ჩვენს სისხლისმიერ ძმებს“ უწოდებს და თავისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ-ერთ სახელმძღვანელო და საპროგრამო პრინციპად ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ერთობის იდეას სახავს. ჩვენი ვალია, ეს იდეა სიტყვიდან საქმედ ვაქციოთ. ჯერ კიდევ ილიას დაბადებიდან 150 წლისთავზე „დიალოგთა კლუბმა“ შეიმუშავა ამ საფუძველზე საქართველოში მესხების განსახლებისა და ეთნიკურ-კულტურული რეინტეგრაციის დეტალური გეგმა. მესხთა ამ კომპლექსურ დასახლებას „ილიაწმინდა“ ეწოდა. იქნებ დადგა დრო, რომ ილიას დაბადებიდან 175 წლისთავზე მაინც, ხელი მოვკიდოთ მისი ამ იდეის რეალიზაციის საქმეს?..

**ელბერდ ბატიაშვილი**

ინფორმაცია

## ირანი ევროპას ელექტროენერგიას საქართველოს გავლით მიაწვდის

**ირანის** ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მოჰამედ ბეჰზადმა სააგენტო „მეხრი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში კომენტარი გააკეთა ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაზე, რომელიც მიზნად ისახავს ირანს, სომხეთსა და საქართველოს შორის ელექტროენერგიის მოცულობის გაცვლის ზრდას.

მინისტრმა განაცხადა, რომ ეს ელექტროგადამცემი ხაზი ევროპის ქვეყნებთან ელექტროენერგიის გაცვლისა და ტრანზიტის ახალი მარშრუტი გახდება.

მოჰამედ ბეჰზადმა დააზუსტა, რომ ახალი ელექტროგადამცემი ხაზის აშენების მიზანია მიაწოდოს ელექტროენერგია საქართველოს, შემდეგში რუსეთს და ევროპის სხვა ქვეყნებს გადმოსცემს.

ამჟამად, ელექტროენერგიის გაცვლისათვის ირანსა და სომხეთს შორის არსებობს ელექტროგადამცემი ხაზი, თუმცა ვარაუდობენ, რომ ახალი ელექტროგადამცემი ხაზი საშუალებას იძლევა ირანიდან საქართველოს ,სომხეთის ტერიტორიის გავლით, ელექტროენერგია მიაწოდოს.

მოჰამედ ბეჰზადმა აღნიშნა, რომ ამჟამად ელექტროენერგიის გაცვლა ირანსა და საქართველოს შორის აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით ხორციელდება.

ინტერპრესი

ვარაუდი



***რუსეთში** მიმდინარე პროცესები საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან ქვეყნის ბედი გარკვეულწილად ამ მოვლენებზეა დამოკიდებული. თითქმის ყველა ექსპერტი ერთხმად აღიარებს, რომ სანამ რუსეთის ხელისუფლება არ შეიცვლება, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დაბრუნებისა და ნატოში გაწევრების შანსი მინიმალურია. ამიტომ გუშინ მეზობელი ქვეყნის რამდენიმე ქალაქში გამართულ ანტისახელისუფლო საპროტესტო გამოსვლებს საქართველოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. როგორ განვითარდება რუსეთში პოლიტიკური პროცესები და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ ყველაფერმა საქართველოზე? — აღნიშნულ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ კავკასიის საკითხებში ექსპერტს მამუკა არეშიძეს ესაუბრა.*

# მზად არა ვართ, რუსეთის დანგრევა გვიხაროდეს, რადგან ამ ნანგრევებში, შესაძლოა, ჩვენც მოვყვეთ

**— ბატონო მამუკა, როგორ შეიძლება განვითარდეს რუსეთში მიმდინარე მოვლენები და რა შეიძლება იყოს პუტინის სავარაუდო კონტრნაბიჯები?**

— პუტინს სამი გამოსავალი აქვს: ერთია, რეპრესიული მანქანის ამუშავება და ამით ხალხის აღშფოთების ჩახშობა. მეორე არის ის, რომ დასაჯოს არჩევნების უშუალო გამყალბებლები. კონკრეტულად ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ჩუროვი და საოლქო კომისიის თავმჯდომარეები. მესამე გამოსავალი — ეს არის ახალი არჩევნების დანიშვნა. მე მგონია, რომ მოხდება პირველი ორი გზის შეჯერებულად გამოყენება, რეპრესიული მანქანის ამუშავება, პლუს გაყალბებაზე პასუხისმგებელი პირების დასჯა.

**— წინ საპრეზიდენტო არჩევნებია და პუტინი ამ ფაქტორს არ გაითვალისწინებს? ხომ შესაძლებელია რეპრესიებმა საპროტესტო მუხტი უფრო გააღვივოს და ეს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე აისახოს?**

— რასაკვირველია, ამ ყველაფერმა შეიძლება გავლენა მოახდინოს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე, ამიტომ ვამბობ, შეჯვარებულად გამოიყენებს ამ ორ მეთოდს და მხოლოდ რეპრესიებს არ მიმართავს. მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო ტელევიზიები ეიფორიაშია ჩავარდნილი, უნდა ითქვას, რომ 60 000 კაცი 150- მილიონიანი რუსეთისთვის არ არის ის ციფრი, რომელსაც შეუძლია გადამწყვეტი გავლენა იქონიოს მიმდინარე პროცესებზე. საყურადღებოა ის დინამიკა, რაც შეინიშნება რუსეთის სხვა ქალაქებში. საპროტესტო განწყობა მოსკოვის გარდა მასშტაბური იყო მხოლოდ პეტერბურგში. დანარჩენ ქალაქებში 500-1500 კაცამდე იყრიდა თავს. ეს არის ძირითადად პარტიული აქტივი. ჯერ საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ მათ კონსოლიდირებულ პროტესტს აზრი აქვს. შიშის სინდრომი უნდა მოიხსნას და მესამე, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების კონსოლიდირება უნდა მოხდეს.




**— აღნიშნულმა საპროტესტო მუხტმა და შიდა დაძაბულობამ რამდენად შეიძლება რუსეთში უბიძგოს სეპარატისტული მოძრაობების გაღვივებას? რამე ურთიერთკავშირი არის ამ პროცესებში?**

— რასაკვირველია, კავშირი არსებობს. ამის ისტორიული მაგალითები გვაქვს. რუსეთის იმპერიის პერიოდში, ასევე საბჭოთა კავშირის დროს, ასეთი ტიპის საპროტესტო მუხტმა სეპარატისტული მოძრაობების დაწყებას შეუწყო ხელი. 1905 წლის რევოლუციური გამოსვლების დროს, 8 თვის განმავლობაში გურიაში არსებობდა დამოუკიდებლობა დაიწყება, პირველი, ვინც ამ ნაბიჯს გადადგამს, ეს იქნება თათარსტანი. მას მიჰყვება ზოგიერთი ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკა. თუმცა სეპარატიზმის მთავარი ბუდე ნაციონალური რესპუბლიკები არ არის, რადგან ნაციონალური რესპუბლიკები, თათარსტანის გარდა, არის დოტაციური, ჩამოკიდებულია ცენტრზე და დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია. მათ არ აწყობთ სეპარატიზმი. მთავარი ისაა, რომ სწორედ რუსული რეგიონები გახდებიან სეპარატიზმის მებაირახტრეები. კონკრეტულად კი კალი ტერიტორია. 1917 წლის რევოლუციას რაც მოყვა, კარგად ვიცით. რუსეთის იმპერიაში შემავალმა რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

90-იანი წლების დასაწყისშიც იგივე პროცესები განმეორდა: ისევ გამოეყო იმპერიას ნაციონალური რესპუბლიკები და თვითონ იმპერიის შემადგენლობაშიც დაიწყო რღვევის პროცესი. განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიაში, რომელიც არ დასრულებულა. დღეს აუცილებლად გაგრძელდება ეს პროცესი. მე შემიძლია გიწინასწარმეტყველოთ, რომ თუ რუსეთში სამოქალაქო პროტესტის ნიადაგზე არეულინინგრადის ოლქი, ციმბირის ოლქები, ასევე შორეული აღმოსავლეთი.

**— რუსულ რეგიონებს რატომ უნდა სურდეთ რუსეთისგან გამოყოფა?**

— აი, მოსკოვში ხომ არის ლოზუნგი „хватит кормить кавказ“, ამ რეგიონებში არის ასეთი ლოზუნგი: „хватит кормить москву“. ისინი თვლიან, რომ მათ მიერ გამომუშავებული თანხების დიდი რაოდენობა ხმარდება მოსკოვს, მას კი არაფერი. არადა, რუსეთის სამრეწველო პოტენციალის უზარმაზარი ნაწილი ზუსტად ციმბირშია განლაგებული, მაგალითად ურალში. სწორედ ურალის მხარის რუსული ტერიტორიებია მოთავე სეპარატისტული მოძრაობისა. სხვათა შორის, 40 ათასმა რუსმა ციმბირელმა თავის ეროვნებაში ჩაწერა ციმბირელი და არა რუსი. ეს ძალიან ნიშანდობლივი ფაქტია და ამის შესახებ რუსმა პოლიტოლოგებმა დიდი ხანია განგაშის ზარი შემოჰკრეს, თუმცა ხელისუფლებამ ყურადღება არ მიაქცია.

თუ ეს პროტესტი გადაიზრდება ფართომასშტაბიან საპროტესტო ტალღაში და ეს პროცესი რუსეთში ხელისუფლების შესუსტებას გამოიწვევს, სეპარატისტული მოძრაობის დაწყების გარანტიას გაძლევთ.

**— ეს პროცესები რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რა გავლენას იქონიებს?**

— ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსხვავებული ვითარებაა. ცხინვალი იმდენადაა რუსეთზე დამოკიდებული, მისი დასუსტების შემთხვევაში, კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. მიუხედავად იმ ანტირუსული განწყობისა, რომელიც დღეს გაჩნდა, აბსოლუტურად პრორუსული წარმონაქმნია და თავიდან ბოლომდე რუსეთზეა დამოკიდებული. აფხაზეთში სულ სხვა ვითარებაა. აფხაზეთშიც მძიმე მდგომარეობა შეიქმნება, მაგრამ გამოსავალს იპოვის. აფხაზეთს ცალი თვალი ისედაც დასავლეთისკენ უჭირავს და გარკვეულ მანევრირებას და კავკასიელ ხალხებთან კონფედერაციის შექმნას შეეცდება. ერთმნიშვნელოვნად ამის პროგნოზირება ძალიან რთულია. სხვათა შორის, საქართველო მზად არ არის, რუსეთის დანგრევა უხაროდეს, რადგან შესაძლოა ამ ნანგრევებში ჩვენც მოვყვეთ. საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები არ არის იმ დონეზე, ასეთი მასშტაბის ძვრებს გაუძლოს. რასაკვირველია, ძალიან გვაწყობს მეზობელ ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა. რუსეთში არ არის დემოკრატიული ხელისუფლება, რომელიც ადეკვატურად აღიქვამს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების საჭიროებას, რაც ყველაზე მთავარია, საკუთარი ქვეყნის საჭიროებას. არასწორი პოლიტიკა აქვს, გინდა შიგნით, გინდა საგარეო თვალსაზრისით.

ნავთობმოპოვება

# „შავი ოქროს“ სამომავლო ფასი

**მსოფლიოში მომავალი ოცდახუთი წლის მანძილზე ენერგოშემცველებზე, კერძოდ, ნედლ ნავთობზე მოთხოვნის ზრდის პროგნოზს აკეთებს ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო, რომელმაც ცოტა ხნის წინათ იგი საერთაშორისო გამოცემაში „მსოფლიო ენერგეტიკის პერსპექტივაში“ გამოაქვეყნა.**

უახლოეს მეოთხედ საუკუნეში მსოფლიოში ნედლ ნავთობზე მოთხოვნა დღე-ღამეში 88 მილიონი ბარელიდან დაახლოებით 100 მილიონ ბარელამდე გაიზრდება. „შავი ოქროს“ მოპოვებისა და მსოფლიო ბაზარზე მიწოდების ზრდას ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილო აფრიკის ნავთობით მდიდარი ქვეყნებიდან ელოდებიან, ხოლო ახალი მოგების დაზვერვისა და არსებულ საბადოებში ამოღების კვოტების გაზრდა სადღეისოდ არსებული გლობალური ენერგეტიკული გეგმითაა გათვალისწინებული.

ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს სპეციალისტების აზრით, მნიშვნელოვნად გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომლის უდიდეს ნაწილს მსოფლიო ბაზრებზე ტანკერებით გადაზიდავენ, ამ უდიდესი რეგიონის ქვეყნებში, აღნიშნულ პერიოდში, უზარმაზარი, 2,7 ტრილიონი დოლარის ინვესტიციები იქნება განსახორციელებელი. ამასთან, ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ თუმცა ახლო აღმოსავლეთში, მართალია ნავთობის ტექნიკურად მოპოვება დიდად რთული არ არის, იქ შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო გეოლოგიური საძიებო-დაზვერვითი საველე სამუშაოების ჩატარება ძალიან ძნელი იქნება.

ექსპერტები ხაზს უსვამენ იმასაც, რომ თუ დღესდღეობით ერთი ბარელის მოპოვება 12 დოლარი ჯდება, ოცდახუთი წლის შემდეგ ეს ფასი 15 დოლარამდე გაიზრდება. შესაბამისად, მოიმატებს ნავთობპროდუქტების ფასები, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, წარმოების ფასს მაქსიმალურად მიუახლოვდება. ამასთან, სპეციალისტები ასევე აღნიშნავენ, რომ გარდა ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკისა, ნავთობის მოპოვება მნიშვნელოვნად მოიმატებს ლათინურ ამერიკასა და სამხრეთ კავკასიაშიც.

**ოთარ ტურაბელიძე**



ინფორმაცია

## მთავრობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად 30-ლარიან ვაუჩერებს გასცემს

**მთავრობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად 30-ლარიან ვაუჩერებს გასცემს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით 3400 სოფელში 800 000-მდე ვაუჩერი გაიცემა, რომლის მოქმედების ვადა 2011 წლის 20 დეკემბრიდან 2012 წლის 31 იანვრამდეა.**

**ვაუჩერის გამოყენება შესაძლებელი იქნება: მიწის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის (მოხვნა ან სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის) ან სასუქის შესაძენად (სასუქის ვაუჩერით შეძენა შესაძლებელი იქნება სავაჭრო ობიექტებში, რომლებიც პროგრამისთვის დარეგისტრირებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროში) ან 2012 წლის 1 ივნისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გამოუყენებელი ვაუჩერის განაღდება (ლიბერთი ბანკის ფილიალებში). მექანიზატორებს და სასუქით მოვაჭრეებს ვაუჩერის განაღდება მიღებისთანავე შეეძლებათ.**

**— სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად განკუთვნილი ვაუჩერების გამოყენება შესაძლებელი იქნება, როგორც მიწის საგაზაფხულო სამუშაოებისთვის, ასევე სასუქის შესაძენად. სასუქი გაიყიდება იმ სავაჭრო ობიექტებში, რომლებიც პროგრამისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროშია დარეგისტრირებული. ვაუჩერის გამოუყენებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მისი განაღდება ან ერთჯერადად ვაუჩერის გასხვისება, — განაცხადა ზაზა გოროზიამ ჟურნალისტებთან საუბრისას.**

**სამინისტროს ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის მთავარი პრიორიტეტია და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად განკუთვნილი 30-ლარიანი ვაუჩერით მიღებული შეღავათი ამ სექტორში დასაქმებული ადამიანებისთვის მცირედი დახმარება იქნება.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ მილიარდელთა პირობა

# ზოგიერთი მოსაზრება ქველმოქმედების შესახებ

**საბჭოთა სინამდვილის ცნობიერებით აღზრდილი ადამიანისათვის ქველმოქმედება ასოცირდება სიბრალულის გრძნობასთან, მოწყალეების გაცემასთან, რა თქმა უნდა, მოყვასის სიყვარული, თანაგრძნობა ყოველი ჩვენგანის ადამიანური მოვალეობაა, მაგრამ დასავლეთ სამყაროში მას აგრეთვე სულ სხვა სოციალური ფუნქცია და იდეოლოგია აქვს.**

მეცენატობა, ქველმოქმედება განსაკუთრებით გავრცელებულია აშშ-ში. იქ თითქმის ყოველი მეოთხე ბიზნესმენი ქველმოქმედია და მათ მიერ გაცემული თანხა 200 მილიარდ დოლარს აჭარბებს



(!ძ. ჩვენში საქველმოქმედო ორგანიზაციები და მათი საქმიანობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაუქმდა. დედამიწაზე მცხოვრებ ყველა გაჭირვებულს ვერ დაეხმარები და ამისათვის არც არავინ გაიღებს თანხებს, მაგრამ ოციოდე ბავშვს დაეხმარო სწავლა-განათლების მიღებაში, ამის გაკეთება სრულიად შესაძლებელია. ადამიანების პერსონალური დახმარება მშვენიერი გრძნობაა, მაგრამ იმისათვის, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანი საზოგადოების სასარგებლო წევრი გახდეს, მას უნდა ჰქონდეს სწავლის, შრომითი საქმიანობის, ნორმალური ფსიქოლოგიური და საყოფაცხოვრებო გარემო. ეს კი მოითხოვს სისტემატიურ ზედამხედველობას და მუდმივ ყურადღებას, რათა გათვალისწინებული იქნას ცხოვრებისეული ბევრი საჭირბოროტო საკითხი.

ადამიანის დაცვა ნიშნავს მათ უფლებას, იცხოვროს ადამიანურად. ღმერთისა და კანონის წინაშე ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ. ვისაც ხელს უწვდი დამხმარებისათვის და ვინც გასცემს, გაჭირვებულსა თუ უმდიდრეს ადამიანს ერთნაირი უფლებები და ვალდებულებები გაგვაჩნია უზენაესისა და კანონის წინაშე. ამ უფლებებისა და მოვალეობათა გათვალისწინებას ემსახურება ქველმოქმედება. ჩვენ ყველანი თანაბარი უფლებებით ვევლინებით ამ ქვეყანას. სიმდიდრე ან სიღარიბე არ გათავისუფლებს მოვალეობებისგან. ამიტომაც ზოგიერთ ქვეყანაში მათხოვრობა აკრძალულია. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება გულგრილი არ უნდა იყოს მათხოვრობისა თუ სხვა სოციალური უბედურებების მიმართ, არ უნდა ეგუებოდეს მათ და ყოველნაირად ცდილობდეს, თავისი წვლილი შეიტანოს ამ საკითხების შეძლებისამებრ მოგვარებაში.

ადამიანები ვალდებულნი ვართ, დავეხმაროთ ჩვენს გვერდით უბედურებაში ჩავარდნილ ნებისმიერ ცოცხალ არსებას თუ ადამის შვილს. როგორც ვხედავთ, ქველმოქმედების იდეოლოგიის საფუძველია ფასეულობათა გარკვეული სისტემა. ამ ფასეულობათა სისტემის გათვითცნობიერებასა და გათავისებაზეა დამოკიდებული თვით მათი საქმიანობის შედეგი. სულ რაღაც ოციოდე წლის წინათ, 1980-იანი წლების დასასრულს, საქართველოში დაახლოებით შვიდიოდე ადგილობრივი მათხოვარი იყო დაფიქსირებული, დღეს მათი რაოდენობა 10000 აჭარბებს. ღმერთი მარტო ეკლესიაში არ უნდა გვახსოვდეს, საზოგადოების თითოეულ წევრს გათავისებული უნდა ჰქონდეს თავისი კონკრეტული ადგილის, ეზოს, უბნის ყოფითი პრობლემები და აქტიურად მონაწილეობდეს ამ საკითხის მოგვარებაში. თავის დროის ქართველი საზოგადოების გულგრილობაზე და პასიურობაზე წერდა დიდი ქველმოქმედი დავით სარაჯიშვილი. – „გვჭირდება სამოქალაქო კულტურა, ჩვენ კი სოფლელები ვართ“-ო. ადამიანი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება ერის სამსახურში იდგა და თავისი ხალხის ცხოვრებით სულდგმულობდა, დავით სარაჯიშვილი პიონერი იყო ქართული საზოგადოების სამოქალაქო ცხოვრებისაო – წერდა მასზე, იმდროინდელი „სახალხო გაზეთი“. ადამიანი, რომელსაც სხვისი კარგი ბავშვივით ახარებდა და სიხარულს გვრიდა. ჭეშმარიტად რაინდული კეთილშობილებით ეხმარებოდა ყველას. მას ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ეკონომიურად ძლიერი, განათლებული და დამოუკიდებელი სამშობლო. შეუძლებელია ქველმოქმედების იმ მასშტაბების ჩამოთვლა, რომლითაც მისი საქმიანობა შეიძლება დავახასიათოთ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მას განსაკუთრებით გულს უკლავდა ერის განათლებული წრეების უილაჯობა და დაკნინება.

ჭეშმარიტი საქველმოქმედო საქმიანობა კი არსებითად სამოქალაქო საზოგადოებაშია შესაძლებელი, ანუ ისეთ საზოგადოებაში, სადაც თვით მოქალაქეები იჩენენ ინიციატივას, პრობლემების შეძლებისდაგვარად მოგვარებაში. საქველმოქმედო საქმიანობა – ეს არის დახმარება სახელმწიფოსი. ქველმოქმედი თავის თავზე იღებს სახელმწიფოს მნიშვნელოვან ხარჯებს სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, სამეცნიერო და სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებისათვის, კულტურის, ხელოვნების, ბუნების დაცვის საკითხში. ამიტომაც დასავლეთის სამართალი ყოველნაირად ხელს უწყობს ბიზნესმენთა მონაწილეობას ქველმოქმედებაში მათ მიმართ უდიდეს ყურადღებას და პატივისცემას გამოხატავენ, რომ იტყვიან ყველგან წითელ ხალიჩას უგებენ, გადასახადებზე შეღავათებს უწესებენ, ტენდერებში უპირატესობას ანიჭებენ და ა.შ. ისინი უდიდეს თანხებს გასცემენ თავისი ნება-სურვილით და შესაბამისად ქებასა და დაფასებას იმსახურებენ. დასავლეთში არსებობს საქველმოქმედო საქმიანობის ე.წ. დახმარების ფონდები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ საქველმოქმედო ორგანიზაციათა საქმიანობასა და მათ განვითარებას.

ნებისმიერი სახელმწიფოს მთავრობა, ხელისუფლება საზოგადოება ცდილობს და ვალდებულია, დააფასოს ადამიანის კეთილსინდისიერი შრომა, საქმიანობა, ცოდნა, დრო და ენერგია რაც იხარჯება საზოგადოების თუ სახელმწიფოს სასარგებლოდ. ამ ადამიანთა სახელები შეაქვთ ერის დიდების ოქროს ფონდში, რათა თანამედროვეებმა იცოდნენ და მომავალ თაობებს შემოუნახონ სამშობლოს ჭეშმარიტი მსახურების მაგალითები.

2010 წელს პლანეტის უმდიდრესმა ადამიანმა ბილ გეიტსმა, ასევე ინვესტიციებით გამორჩეულმა უორენ ბაფეტმა, მედიამაგნატმა CNN-ის დამფუძნებელმა ტედ ტერნერმა, „ვარსკვლავური ომების“ შემქმნელმა ჯორჯ ლუკასმა და კიდევ 40-მდე მილიარდელმა პირობა დადეს, რომ თავისი ქონების მინიმუმ ნახევარს საქველმოქმედო საქმიანობას მოახმარენ, ამასთანავე მოწოდებით მიმართეს მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებს მიბაძონ მათ მაგალითს. ცნობისათვის ჟურნალ FORBES-ის თანახმად დღეს მსოფლიოში ათასამდე მილიარდერი და მილიონი მილიონერია.

მიმდინარე წელს სრულდება ქართველი ერის სასიქადულო შვილის, დიდი ქველმოქმედის დავით სარაჯიშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავი. ამ მნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში გამართული სამეცნიერო კონფერენცია. ამ კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს შემდეგი წინადადებები:

დაწესდეს დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების დღე (ძვ. სტილით 20 ივნისი), ახ. სტილით 3 ივლისი ქველმოქმედის, მეცენატის დღედ. ამ დღეს სახალხო გამოკითხვის შედეგად გამოვლინდეს წლის საუკეთესო მეცენატი და ქველმოქმედი.

აუცილებლად მიგვაჩნია საქველმოქმედო საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზისის შექმნა, ამჟამად ქვეყანაში არ არსებობს საქველმოქმედო საქმიანობის რეგულირების შესაბამისი კანონი, რომელიც სტიმულს მისცემდა საქველმოქმედო საქმიანობის შემდგომ განვითარებას.

დავით სარაჯიშვილის საფლავთან დღესდღეობით, რბილად რომ ვთქვათ, უხერხული სიტუაციაა შექმნილი. აუცილებელია შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება. ღირსეული ადამიანების განსასვენებელ ადგილს ღირსეული დაფასება და მზრუნველობა სჭირდება. დავით სარაჯიშვილის განსასვენებელ ადგილად მიჩნეული უნდა იქნას მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი. ასეთია კონფერენციის მონაწილეთა საერთო აზრი.

**მედეა თავდიშვილი**

◎ გასული კვირის ჩანახატები

## მეგრული ჰანგიდან გაცოცხლებული ოდოია

**რუსთაველის პროსპექტზე, ყოფილ კინოთეატრ „სპარტაკის“ მყუდრო გარემოში, ახლა რომ სტილიზებული ფოლკლორის თეატრი „ნაბადია“ განთავსებული ცნობილი მოცეკვავის ნინო ტურაბელიძის ხელმძღვანელობით, გური ოტობაიას წიგნის „ჰოუნანას“ და მისივე რედაქტორობით გამომავალი ჟურნალის „კირბისის“ („ოქროს საწმისი“) წარდგინება გაიმართა და ეს ფაქტი, პირადად მე, ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენად მიმაჩნია, რადგან მწერლისა და პოეტის გური ოტობაიას ეს სქელტანიანი კრებული ლექსების, ბალადების, პუბლიცისტიკისა, ნათლად წარმოაჩენს ავტორის განსაკუთრებულ (დიახ, დიახ, განსაკუთრებულ!) ნიჭიერებას, რაშიც კრებულის უბრალო დათვალიერებაც კი დაგვარწმუნებს.**

გური ოტობაია ის კაცია, მეგრული მრავალფეროვანი სიტყვიერების ერთგული რომ დარჩა, ლექსს, დაჟინებით, მეგრულად წერს (რადგან მიაჩნია, რომ შემოქმედი იმ ენაზე უნდა წერდეს, რომელმაც გაზარდაძ და იქვე თვითონვე შესანიშნავად თარგმნის ქართულად, ანუ პოეზიის მოყვარულთ ჩვენი უდიდესი ტრადიციების მქონე ენის უკიდეგანობას აგრძნობინებს.

კრებულში მთავარია 13000-სტრიქონიანი ეპიკური პოემა „ოდოია“, სადაც აქამდე შრომის სიმღერად მიჩნეული „ოდოია“, გური ოტობაიამ წარმოგვიდგინა ხორცშესხმულ პიროვნებად, რომელიც ტროას ათწლიან ომთან და ოქროს საწმისთან არის დაკავშირებული და დახატული ურთულესი კატაკლიზმებით. გური ოტობაიას პოემა მეგრულად დაუწერია და იქვე თეთრი ლექსით თარგმნის ქართულად, ხოლო ქართული ენისადმი მიძღვნილ მცირე ეპიკურ პოემა „ლაზარეს“ ჩვენი გური ჟურნალ „კირბისში“ ქართულად წარმოგვიდგენს...

ყოველივე ამის შესახებ იმ საღამოს ბევრი ისაუბრეს გური ოტობაიას შემოქმედების თაყვანისმცემლებმა, ბოლოს, კი გურიმ მადლობა გადაუხადა საღამოს მომწყობთ და იქ მისულ სტუმრებს, მისი შემოქმედების გულშემატკივართ.

გური ოტობაიას ეპიკური პოემები უთუოდ მიიქცევენ ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღებას, ჩვენ კი ამ მცირე მასალით შემოვიფარგლოთ და მივულოცოთ ძვირფას გურის ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი წარმატება.

## პროქტოლოგიის მაესტრო,

### ანუ უებრო მკურნალი ავადმყოფობისა, რომლის გამხელაც გვარიანად გვესირცხვილება

**– ნუ გესირცხვილება, თუ ძმა ხარ, – ღიმილით ეუბნება პაციენტს იგი, – მე ტრაკის ექიმი ვარ გელა მუხაშავრია, ორგანოს, რომელსაც მე ვმკურნალობ, სულხან-საბას ლექსიკონითაც ზუსტად ასე ჰქვია და არ დამიწყოთ ახლა სინონიმები – საჯდომი, გვიმისთავი, უკანალი...**

ასეთია იგი – იუმორით გაჟღენთილი გურული, დღეს უკვე თბილისელი და უებრო მკურნალი...

ჰოდა, რომ მიმკურნალა მეც და, იმ დღეებმა დაგვამეგობრა კიდეც, სახუმარო ლექსის სტრიქონები ვტყორცნე:

**„სამშობლო შენი ჯავრია,**
**გენაცვალე მუხაშავრიავ,**
**ხარ გაჭირვების ტალკვესი,**
**პროქტოლოგიის მარკესი“.**

(რითმამ მოიტანა, თორემ სად პროქტოლოგობა და სად დიდი კოლუმბიელი მწერალიძ, წაიკითხა, გაიბადრა, გადამკოცნა და, ამას წიგნში შევიტან, რომელიც მალე გამოვაო, – მითხრა.

და აი, გამოსულა კიდეც წიგნი – **„ნიღბიანი კაცი უნიღბოდ“,** რომელიც სამაგალითო მამულიშვილისა და ბრწყინვალე დასტაქრის ბატონ გელა მუხაშავრიას ცხოვრების გზის შესახებ მოგვითხრობს (ავტორი და რედაქტორი ნინო კვაჭანტირაძე, მხატვარი თენგიზ კიკალიშვილიძ და, რომლის წარდგინებაც გასულ კვირა დღეს მოხდა მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრ „მუზაში“.

მის საპატივცემულოდ მოსულ უამრავ ნაცნობ-მეგობარს უშურველად ჩუქნიდა წიგნს ბატონი გელა. გადმომცა მეც და, ჯიბარი ხარ რომ მოხვედიო, დააყოლა. ვფურცლავ, აგერ ჩემი „შედევრიც“...

საერთოდ კი, ვის აღარ შეხვდებით ამ შესანიშნავ კრებულში. აკადემიკოსები, პროფესორები, მწერლები, მხატვრები, მსახიობები, მომღერლები... გულთბილად წერენ ამ ღვაწლმოსილი მკურნალის, ამ კოლორიტული კაცის შესახებ. წიგნი უხვად დასურათებულია და ეს უამრავი ფოტომასალა კიდევ უფრო ნათელს ჰფენს გელა მუხაშავრიას ყოველდღიურობას... თავისი ნაკალმარიც შეუტანია წიგნში ბატონ გელას, რითაც იგი საკმაოდ ნიჭიერ მწერლადაც წარმოგვიდგება.

ამასობაში კი შესანიშნავი დარბაზის სცენაზე ერთი ამბავია. გამოდიან მეგობრები, ესიყვარულებიან „სიყვარულის კაცს“, მომღერლები მღერიან, მოცეკვავეები ცეკვავენ, ერთ-ორჯერ თვითონ იმდღევანდელი შეხვედრის მიზეზმაც „ჩაბუქნა“ და ამით გვაგრძნობინა, რომ ჯერ ადრეა სიბერემდე.

აბა, შეხვედრა გელა მუხაშავრიასთან უპურმარილოდ დასრულდებოდა? ბატონები თენგიზ არჩვაძე, თენგიზ კიკალიშვილი, თამაზ სეფერთელაძე და მე ერთ მაგიდასთან მოვხვდით და გულიანად დავლოცეთ ძვირფასი მეგობარი.

შეეწიოს, რაც მასზე იმ დღეს ნაღდი, გულწრფელი სიტყვა ითქვა.

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მილიარდერი და პრეზიდენტი

საქართველოში ქვეყნის უმდიდრესმა ადამიანმა პრეზიდენტი სააკაშვილი გამოიწვია. მთავრობა ახალი ძალის უკან მოსკოვის ხელს ხედავს, ოპოზიციას კი ახალი იმედი გაუჩნდა.

7 დეკემბრამდე ბიძინა ივანიშვილი ფანტომი იყო. მთელმა საქართველომ იცოდა მისი სახელი, თუმცა არავინ იცოდა, როგორ გამოიყურებოდა ის და როგორ ჟღერდა მისი ხმა. საქართველოში მასზე მწირი მონაცემები არსებობდა: ასაკი – 55 წელი, დაბადების ადგილი – ჭორვილა, პატარა სოფელი საჩხერის რაიონში, დასავლეთ საქართველო; ქონება – დაახლოებით 5,5 მილიარდი დოლარი, რომელიც მან ველურ ოთხმოცდაათიან წლებში რუსეთში საბანკო საქმიანობით, წილებით ინდუსტრიაში და უძრავი ქონებით იშოვა; მიდრეკილება – ფილანტროპია.

7 ოქტომბერი ის დღეა, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტ სააკაშვილს წერილობით, ისე რომ თავად არ გამოჩენილა, გამოწვევა გაუგზავნა. მან განაცხადა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ „ძალაუფლების ტოტალური მონოპოლიზების", რაც აიძულებს ქართულ მედიას იცრუოს და ბიზნესის მიმართ განუკითხაობის გამო, იძულებულია პოლიტიკაში ჩაერთოს. იგი დააარსებს პარტიას, შეაკვრება „ჯანმრთელ პოლიტიკურ ძალებს", მოიგებს მომავალ წელს პარლამენტის არჩევნებს და შემდეგ ორი, სამი წლით იკისრებს პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობას, რათა ქვეყანა კვლავ დემოკრატიად აქციოს. საქართველოს უმდიდრეს ადამიანს, რომლის ქონებაც ერთნახევარჯერ აღემატება ქვეყნის მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტს, პოლიტიკური ძალაუფლება სურს.

### ფანტომი სახეს იძენს

ამ დღის შემდეგ ფანტომი თანდათან სახეს იძენს. ბიძინა ივანიშვილი გამხდარი კაცია. ის, დაბალი, მტკიცე ხმით საუბრობს. ოქტომბერში, ცხოვრებაში პირველ ტელეინტერვიუში ის კრიტიკულ შეკითხვებზე ჯერ კიდევ გაბრაზებული პასუხობდა, თუმცა ყველაფერს სწრაფად სწავლობს. ახლა მსგავს სიტუაციაში თავაზიანად იღიმება, თითქოს თანამოსაუბრის გამხნევებას ცდილობს, ამბობს, რომ ეს კარგი შეკითხვაა და პროფესიულად ზოგად, ძნელად ხელმოსაჭიდ ფორმულირებებს იშველიებს.

„მე არასოდეს ვყოფილვარ ჩვეულებრივი ბიზნესმენი", ამბობს ბიძინა ივანიშვილი. „ჩემნაირი მეორე არ არსებობს". ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ინკოგნიტოდ ცხოვრობდა, საქართველოში იმაზე საუბრობდნენ, რომ ის სააკაშვილის მთავრობას სერიოზულად აფინანსებდა, რომ იგი სკოლებს და საცურაო აუზებს აშენებდა, ხელოვანებსა და სპორტსმენებს ეხმარებოდა, მაგრამ ამაზე მეტის შესახებ მხოლოდ ცოტამ თუ იცოდა რაიმე. ახლა იგი თვითონ საუბრობს ამაზე. "მე არასდროს ვეხმარებოდი სააკაშვილს", ამბობს იგი, „მე ფინანსურად ვეხმარებოდი მთავრობას, როდესაც ქართულ სახელმწიფოს ფული არ ჰქონდა და ადამიანებს, რომლებსაც უნდა მიეღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ისინი ისე ცოტას გამოიმუშავებდნენ, რომ საცხოვრებლად არ კმაროდა". ამიტომ ენდობა მას ახლა ბევრი ადამიანი. „ჩემი კაპიტალია არა ფული, არამედ ნდობა".

### „მე ვარ ქართველი, რომელიც შენ შეიძლება მოგწონდეს"

გიგა ბოკერიას არ აქვს ნდობა, სამაგიეროდ ფული მისთვის თემაა, უპირველეს ყოვლისა კი მისი წარმომავლობა. ბოკერიას აქვს მტკიცე შეხედულებები, ყოველ შემთხვევაში იგი ასე ამბობს და დემოკრატიისთვის მებრძოლის დიდი ისტორია: ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში იგი სტუდენტთა მოძრაობას ხელმძღვანელობდა, მოგვიანებით, რთულ წლებში ადამიანის უფლებათა აქტივისტი იყო და საბოლოოდ, 2003 წელს „ვარდების რევოლუციის" მთავარ ორგანიზატორთა სიაში შედიოდა. ამ რევოლუციამ მოიყვანა პრეზიდენტი სააკაშვილი ხელისუფლებაში და თავად ბოკერიაც. დღეს ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანია და მთავრობაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ კაცად ითვლება.

ალბათ რამდენიმე შეკითხვა უნდა დასვა ადამიანმა, ამბობს ბოკერია, როდესაც რუსეთში გამდიდრებული ბიზნესმენი საქართველოში პოლიტიკაში მოდის. იგი უფრო თავშეკავებულია, ვიდრე სააკაშვილის პარტიის ზოგიერთი პარლამენტარი, რომლებიც ივანიშვილს „პუტინის პროექტად" მოიხსენიებენ. თუმცა ისიც ამბობს: „ივანიშვილს სურს საქართველო უკან, რუსეთის ორბიტაზე დააბრუნოს". ეს ჩანს ივანიშვილის გამონათქვამებიდან, რომელიც მუდმივად თავისი ფორმულირებებით პუტინს უგზავნის სიგნალს: „მე ვარ ქართველი, რომელიც შენ შეიძლება მოგწონდეს".

საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში ისევ რაციონალურობა უნდა დამკვიდრდეს, ამბობს ივანიშვილი.„მაშინ ჩვენ შედეგსაც მივიღებთ". იგი ეთანხმება ქართულ ერთობას: „მე გამიხარდებოდა, თუკი ნატო ხვალ მიგვიღებდა თავის რიგებში", ამბობს იგი, „ჩვენი უსაფრთხოებისთვის სხვა ალტერნატივა არ არსებობს". მაგრამ გაწევრებისათვის ყველაზე დიდი დაბრკოლება ის არის, რომ სააკაშვილმა დემოკრატიას ზურგი აქცია. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს იგი ასე აღწერს: „ეს იყო რუსეთის დიდი აგრესია, მაგრამ სხვა რეაქციით ჩვენ შეგვეძლო მისთვის თავის არიდება".

### მიმართულება ამოუცნობია

ისეც არ არის, რომ ბოკერიას ივანიშვილზე მეტი არაფერი ჰქონდეს სათქმელი: „საკითხავია, როგორია მისი პოლიტიკური კრედო: რა აზრისაა იგი, მაგალითად, სახელმწიფოს ბიზნესში ჩარევის ხარისხზე?, სვამს ის კითხვას. „ეს რთული ამოსაცნობი არ არის". ის თუ, საით შეიძლება ივანიშვილმა საქართველო წაიყვანოს, ჭორვილაში ჩანს: „იქ არავინ არაფრის მიმართ პასუხისმგებლობას აღარ გრძნობს – ისე როგორც ეს საბჭოთა კავშირში იყო".

ჭორვილა ბიძინა ივანიშვილის მშობლიური სოფელია. ის განსხვავდება სხვა სოფლებისგან, რომლებსაც თბილისიდან მგზავრობისას თითქმის ორსაათნახევრის განმავლობაში გაივლი. ჭორვილაში ვერ ნახავ სიძველისგან განაცრისფერებულ სახლებს, დაჟანგული რკინის სახურავებით, ვერ ნახავთ სახლების გვერდით ქარისგან მორყეულ ხის ბელელს, ჯოხებით, ჯართით და მავთულით იმპროვიზებულ ღობეებს. ჭორვილაში ახალი სახლებია, უფრო დიდი, ვიდრე სადმე სხვაგან. ისინი წესისამებრ გალესილია და მწვანე და წითელი სახურავები ამშვენებენ. ამასთანავე, კაცმა რომ თქვას, ჭორვილა მდიდარი სოფელი არ არის. აქაურების თქმით, დასამუშავებელი მიწა ბევრი არ არის, ამით ფონს ვერ გახვალ. მას შემდეგ, რაც 2004 წელს სოფელში დაბრუნდა, რომელიც სამოცდაათიან წლებში დატოვა და თბილისში სასწავლებლად გაემგზავრა, ივანიშვილმა 260 ოჯახს ახალი სახლები აუშენა. მან ხალხს არა მხოლოდ სრულად გაწყობილი სახლები აჩუქა, არამედ ყოველთვიურად თანხასაც ურიცხავს, რომელიც მათ საცხოვრებლად ყოფნით. ამისათვის მათ მხოლოდ ნაჩუქარი საკუთრების მოვლა ევალებათ. სამუშაო აქ ისევე ცოტაა, როგორც სხვა სოფლებში.

### „მე ვიცი ხალხის მოლოდინი"

ჭორვილაში ადამიანები ივანიშვილზე მხოლოდ კარგს ამბობენ – მათი ხმების იმედი ნამდვილად შეუძლია ჰქონდეს. თუმცა ახლა პრობლემა აქვს: „მე ვიცი ხალხის მოლოდინი", მისი თქმით, „ბევრი ფიქრობს, რომ ჩემი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ერთ ღამეში გამდიდრდება". იმედგაცრუება გარდაუვალია, ამბობს ივანიშვილი. „ამიტომ ჩემი მთავრობაში ყოფნის პირველი წელი ძალიან რთული იქნება" და იქვე დასძენს: „შეიძლება ადამიანები ერთ ღამეში არ გამდიდრდნენ, მაგრამ მათ კვლავ გაუჩნდებათ პერსპექტივა".

### დემოკრატია გულწრფელად იგულისხმა

ალასანიას ავტორიტეტს მთავრობის კაცი, გიგა ბოკერიაც აღიარებს. მან შარშან ისეთი რამ გააკეთა, რაც აქამდე ვერც ერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა ვერ გაბედა: ალასანიამ თბილისის მერის არჩევნების შემდეგ, თავისი დამარცხება აღიარა და სამთავრობო პარტიის კანდიდატს გამარჯვება მიულოცა. ჯერ არცთუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. იმ დროს ალასანია ჯერ კიდევ სხვა მხარეს ეკუთვნოდა: 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს იგი საქართველოს ელჩი იყო გაეროში.

დღესაც, პრეზიდენტზე და მის გუნდზე საუბრისას იგი მხოლოდ ცუდს არ ამბობს: სააკაშვილი დემოკრატიას გულწრფელად გულისხმობდა და თავისი ენერგიით ბევრ კარგს მიაღწია. თითქმის სასწაულია, რა სწრაფად დაამარცხა საქართველომ ყოველდღიური კორუფცია ქვედა და შუა საფეხურებზე, ამბობს იგი. „და ეს დიდწილად სააკაშვილის დამსახურებაა". მაგრამ პრეზიდენტმა მისი ყველა მონაპოვარი შებღალა მოწინააღმდეგეებთან ურთიერთობის ტაქტიკით. „მისი შეცდომა იყო, რომ მას ავტორიტარული ძალაუფლება დემოკრატიული რეფორმების გამყარებისათვის სურდა".

### „ჩვენ არ გვინდა რევოლუცია"

ალასანიას სააკაშვილის ბატონობის დასრულება უნდა, მაგრამ არა მისი დამხობა: „ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ პრეზიდენტი და მთავრობა არჩევნების გზით შევცვალოთ, მხოლოდ მაშინ გავხდებით ჩვენ დემოკრატია. ჩვენ არ გვსურს რევოლუცია", ამბობს ის. მისი ვიზიტი ნიქოზში შემთხვევითი არ არის – უკვე ორი წელია იგი საქართველოს სოფლებში დადის, რათა მათი მხარდაჭერა მოიპოვოს. ალასანიას პარტია ივანიშვილთან ალიანსში გაერთიანდა, მომავალი წლის არჩევნებში ისინი ერთად მიიღებენ მონაწილეობას. შეკითხვაზე, ენდობა თუ არა ივანიშვილს რომ ის პოლიტიკაში მხოლოდ ორი, სამი წლით დარჩენას აპირებს, ალასანია პასუხობს: "მე მგონია, ის ამას გულწრფელად ამბობს, იგი ნამდვილი ქართველი პატრიოტია".

გიგა ბოკერიას თქმით, ყველაზე დიდ საფრთხეს ივანიშვილი „სერიოზული ოპოზიციისთვის" წარმოადგენს, ისეთებისთვის, როგორიცაა ირაკლი ალასანია, რომლებიც მასთან მეკავშირეობით თავისი ავტორიტეტით რისკავენ. იგი ივანიშვილის მნიშვნელობის შემცირებას ცდილობს – მთავრობისათვის აღელვების საფუძველი არ არსებობს: „გამოკითხვებისას ჩვენი მონაცემები სტაბილურია", ამბობს გიგა ბოკერია, „არჩევნებში ჩვენ არაფერი გვემუქრება". სიტყვა „არჩევნებს" იგი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს. დანარჩენი უფრო მინიშნებაა – მაშინაც კი, როდესაც იქვე დასძენს, რომ მას არ სურს ვინმეს დაკნინება.

თუმცა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლაზე მთავრობის პირველმა რეაქციამ მათი ნერვიულობა გამოააშკარავა. თავიდან, ოქტომბრის შუა რიცხვებში ივანიშვილს საქართველოს პასპორტი ჩამოართვეს, ისე რომ მას აღარ აქვს სახელმწიფო თანამდებობისთვის ბრძოლის უფლება, შემდეგ ეროვნულმა ბანკმა ივანიშვილის, საქართველოში მისი ერთადერთი ბიზნესის, ქართუ „ბანკის" საქმიანობის შემოწმება დაიწყო და ბოლოს პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმმა, ფულის გათეთრების ეჭვით, ორი მილიონი დოლარითა და ერთი მილიონი ევროთი დატვირთული საინკასაციო მანქანა და ბანკის ექვსი თანამშრომელი დააკავა. როგორც გიგა ბოკერია ამბობს, ივანიშვილმა ეს პრობლემები თავის თავს უნდა დააბრალოს – მან კანონი დაარღვია. ამას პოლიტიკასთან არაფერი აქვს საერთო.

Frankfurter Allgemeine



## დედამიწის ზურგზე




**დიდმა ასტეროიდმა მერკური თავისი ღერძიდან გადააგდო, გაიგეს მეცნიერებმა**

ასტრონომებს მიაჩნიათ, რომ თავდაპირველად პლანეტა ბრუნავდა ისე, რომ ყოველთვის უმზერდა მზეს ერთი და იმავე მხრიდან. ახლა კი მას საკმაოდ არაჩვეულებრივი ორბიტა აქვს. ასტროფიზიკოსების აზრით, მერკურიმ დიდ ასტეროიდთან შეტაკებისას „გვერდი იბრუნა", დატოვა დიდი კრატერი. ამავე დროს პლანეტამ „დაამუხრუჭა" ბრუნვა.

* * *



**რუსეთელი ქალი, რომელსაც ჩინეთში სიკვდილი მიუსაჯეს, ამტკიცებს, რომ ის დაუცველად დატოვეს, და ითხოვს საქმის გადასინჯვას**

მარინა ლოპატინას სიტყვებით, ჩანთა, რომელშიც ჰეროინი აღმოაჩინეს, მას გადასცა ერთ-ერთმა მისმა ნაცნობმა, რომელმაც უთხრა, რომ მასში წიგნებია. იგი სთხოვდა ქალბატონს, გზავნილი გადაეცა თავისი ამხანაგისთვის ჩინეთში. ოჯახს არაფერი უჭირდა, ამიტომ მას არ ჰქონდა საბაბი, დაკავშირებოდა ნარკოტიკებით კონტრაბანდას, ამბობს მისი შვილი.

* * *

**არჩევნები დნესტრისპირეთში: ოპოზიციონერ შევჩუკის შტაბმა განაცხადა თავისი გამარჯვების შესახებ „კრემლის კანდიდატზე" პირველ ტურში**



წინასწარი მონაცემებით, პარლამენტის ექსსპიკერმა ხმების 39,1 პროცენტი მოაგროვა, ანატოლი კამინსკი მხოლოდ მეორე ადგილზეა 27,7 პროცენტით. ადრე იტყობინებოდნენ, რომ, ეგზიტპოლის მონაცემებით, იმარჯვებს დნესტრისპირეთის მოქმედი ხელმძღვანელი იგორ სმირნოვი, რომლის პრეზიდენტის პოსტზე დასახელების წინააღმდეგ მოსკოვი აქტიურად იბრძოდა.

* * *

**აშშ-მ მთლიანად გაათავისუფლა პაკისტანში სამხედრო საჰაერო ძალების „შამსის" ბაზა**

ამერიკელები 2001 წლიდან იყენებდნენ ბაზას უპილოტო თვითმფრინავების გასაშვებად, რომლებიც დარტყმებს აყენებდნენ პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე ექსტრემისტების პოზიციას. პაკისტანმა გამოაგდო ამერიკის შეერთებული შტატები ბლოკპოსტზე თავდასხმის შემდეგ, როდესაც 25 კაცი დაიღუპა.



პრეზიდენტი მიგვიწოდებს

*რატომ დასჭირდა პრეზიდენტ სააკაშვილს საკუთარი მრევლისთვის ასეთი მოწოდება, ამის თაობაზე ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი ორიოდე სიტყვით ქვეყნის თავკაცის ყოველდღიურ საქმიან გატაცებაზე ვიტყვი. ღმერთსა მადლი, საქართველოს ახალ-ახალ ნაგებობათა ბუმი უდგას და სააკაშვილს იმათი გახსნით მიღებული განცხრომის წუთები არ აკლია, თორემ როგორც ერთი ჩემი კოლეგა მოსწრებულად შენიშნავს, მაშინ ის „ლომკიან“ ნარკომანს დაემსგავსებოდა (თუ უკვე არა ჰგავს). პრეზიდენტი უფლის წყალობით შექმნილ მდიდარ შესაძლებლობებს პირადი განდიდებისთვის იყენებს, ყოველდღიურად (ხან დღეში რამდენჯერმეც) მართავს ობიექტების გახსნის საზეიმო სპექტაკლებს, სადაც სეფესიტყვით გამოსული ლიდერი ტკბება საკუთარი მიღწევების დემონსტრირებით, ხოლო იქ შეკრებილი, ავადმყოფურად აჟიტირებული ხალხი, რომლის უდიდესი ნაწილი ავტობუსებით მიშას თბილისიდან გუნდ-გუნდად დაყვება, — „მიშა, მიშას“ ყვირილითა და მასთან ჩახუტება-მოფოლორცებით.*

# გაიწმინდეთ სათვალე!

ეს ყველაფერი ისე იქცა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ ნორმად, რომ მასზე ალბათ ლაპარაკიც აღარ ღირს, მაგრამ თავად ქვეყნის თავკაცი ამის მიყურისძირების საშუალებას რომ არ გვაძლევს? განსაკუთრებით ახლა, ახალი წლის წინადღეებში, როცა სააკაშვილი ჩვენი სურვილის გაუთვალისწინებლად დღეში სამჯერ თუ არა, ორჯერ მაინც გვაზეიმებს (მიშავიზიებს მეტი რა საქმე აქვთ!) საქართველოს ამა თუ იმ რაიონში საავადმყოფო-კლინიკების პომპეზურად გახსნას. თანაც წარამარა გვახსენებს, არ გეგონოთ არქივს ჩაბარდა 100 საავადმყოფოს აშენების პროგრამა, მე სიტყვის კაცი ვარ, ტყუილი არასოდეს მითქვამს და არც ვიტყვი, მართალია 100-ს შეგპირდით, მაგრამ 150-ს ჩაგაბარებთო. ჰოდა, ნაცმოელებსაც მეტი რა უნდათ, არის მთელ საქართველოში, ხან ამ და ხან იმ რეგიონში, კლინიკების მიღება-ჩაბარების გრიალ-ზეიმი.

თუმცა, რაც უნდა საოცრად მოგვეჩვენოს, არიან ისეთებიც, რომლებიც რატომღაც ვერ აცნობიერებენ ასეთი „გახსნების“ დიდ საზოგადოებრივ წონადობას (თვით ანაკლიისა და თეთნულდისასაც კი!) და ირონიულად ეღიმებათ. ზოგის უტიფრობა იქამდე მიდის, რომ კადნიერდება და შეკითხვასაც კი სვამს — რატომ ხსნის პრეზიდენტი სააკაშვილი კლინიკებს და კაფე-რესტორნებს? მით უფრო, თუ ამ ობიექტებით, აკონკრეტებენ სხვანი, ჯიბეგაფხეკილი საქართველოს მოქალაქენი საერთოდ ვერ სარგებლობენ?

კიდევ კარგი, პრეზიდენტი არ იბნევა (სხვა მის ადგილზე დაიბნეოდა) და ამ არამკითხე ინტრიგანებს სრულიად უვნებელი მეტაფორებით („ყიყინებენ“, „ყბედობენ“ და სხვა) იგერიებს. ამ ორიოდე დღის წინათ კი სააკაშვილი იძულებული გახდა, იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ბუნებრივი სიბეცისა თუ ხელოვნური სიბრმავის გამო, არ სურთ დაინახონ ქვეყნის ზღაპრული აღმშენებლობა, მოეწოდებინა — გაიწმინდონ სათვალე და რეალობას ჯანსაღი თვალით უყურონ!

მაგრამ არც ისე იოლია ამ პრობლემის გადაწყვეტა, როგორც ეს ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს. რა თქმა უნდა, არიან გამოუსწორებელი სკეპტიკოსები, რომლებსაც არც პრეზიდენტის შეგონება უშველით და არც სათვალის საგულდაგულოდ გაწმენდა. ასეთებს, როგორც ხალხური ანდაზა ამბობს, კაცი რიყეზე ქვას ვერ დაანახვებს და რაღა ქვეყნის აღმშენებლობას ირწმუნებენ. ჰოდა, ურწმუნო თომებისთვის ხელისუფლებამ სხვა გამოსავალი გამოძებნა. მაინც რა, არ გაინტერესებთ?

მთავრობა ასე მსჯელობს: შეიძლება კაცი საქართველოში ცხოვრობდეს, უყურებდეს ანაკლიის აშენებას, ბათუმის, ქუთაისის, სიღნაღის ხელმეორედ დაბადებას, მაგრამ მაინც თვალებს იბრმავებდეს? **ასეთ შემთხვევაში მან უნდა დაუჯეროს არა საკუთარ ბრმა თვალებს, არამედ უცხოელთა ხილვებს. მთავარი ის კი არ არის, ჩვენ რას ვხედავთ, არამედ ის, რასაც უცხოელი ხედავს და აფასებს. ამიტომ არის საჭირო, გავიწმინდოთ სათვალე და ვუყუროთ ახალ, მშენებარე საქართველოს არა საკუთარი თვალით, არამედ უცხოელის თვალით(!).**

ნათქვამის საილუსტრაციოდ ავიღოთ, მაგალითად, საქართველოში განხორციელებული რეფორმები. უცხოელი ექსპერტების დასკვნით, კერძოდ, მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, დღეს მსოფლიოს ნომერ პირველი რეფორმატორი ქვეყანა ვართ ეკონომიკური თვალსაზრისით. **როცა ამ წარმატებაზე ვსაუბრობთ, წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ უცხოელთა მიერ დანახული ეკონომიკური მაჩვენებელი (ეკონომიკის 6-პროცენტიანი ზრდა) და არა უმუშევრობის რეალური დონე, რომელიც დღეისათვის 3 პროცენტით უფრო მაღალია, ვიდრე იყო 2004 წელს, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტის სადავეები თავის ხელში აიღო.** არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს მაჩვენებელი ოფიციალურ მონაცემზე (16,6 პროცენტი) გაცილებით მაღალია. 16161 რესპონდენტიდან, ვინც სექტემბერში ეროვნულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა გამოკითხა, 67 პროცენტმა თავისი თავი უმუშევრად დაასახელა. **ამის მიუხედავად, რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, უნდა ვირწმუნოთ ამერიკული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც საქართველოში, სადაც მოსახლეობის 67 პროცენტი თავს უმუშევრად მიიჩნევს, თურმე იმავე პოლიტიკის მიმართ ოპტიმისტურად არის განწყობილი. აბა როგორ, ეს ხომ უცხოელთა გამოკვლევა გახლავთ და რა უფლება გვაქვს არ ვირწმუნოთ?!**

რა თქმა უნდა, სათვალეს თუ გავიწმენდთ და დაკვირვებით შევხედავთ, ეჭვის შეტანა გაგვიჭირდება იმაშიც, რომ „ყველა მნიშვნელოვანი კვლევის თანახმად, კორუფციასთან ნომერ პირველი მებრძოლი ქვეყანა ვართ მსოფლიო მასშტაბით“ (სააკაშვილის სიტყვებია). და ამ მასშტაბის ქართველ სამართალდამცველებს სულაც არ უჭირთ ყოველდღიურად თუ არა, კვირაში ერთხელ მაინც გაბაწრონ კორუფციაში მხილებული ჩინოვნიკები, რომელთაც ქრთამი აიღეს და ბიუჯეტი მნიშვნელოვნად აზარალეს. კარგად ცნობილი ამბავია, კომუნისტები შავ კატას იჭერდნენ იქაც, სადაც ის არ იყო, დღევანდელმა „დეტექტივებმა“ კატა შეცვალეს კორუფციით. ამბობენ, კორუფციის ნატამალიც აღარ დარჩაო, მაგრამ წარამარა კი იჭერენ, თანაც სათვალის გაუწმენდავად(!).

ქართველ სკეპტიკოსებს იმაზეც მართებთ ყურადღების გამახვილება, რაც საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციებმა ამ დღეებში „აღმოაჩინეს“. როგორც სააკაშვილმა გვამცნო, **„საკრედიტო რეიტინგები მთელ მსოფლიოში დაბლა იწევს, საქართველო კი ერთადერთი არანავთობმწარმოებელი ქვეყანაა, რომლის საკრედიტო რეიტინგი იზრდება. ესე იგი აქ არის შესაძლებლობა, რომ ჩაიდოს ინვესტიციები“.** პრეზიდენტის განმარტებით, ეს უჩვეულო წარმატება განაპირობა ორმა ძირითადმა მაჩვენებელმა — მაკროეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სტაბილურობამ. არც ერთი მეფის, არც ერთი მთავრობის დროს არ ყოფილა საქართველოში ისეთი აღმშენებლობა, როგორიც იყო ბოლო ხუთი წლის განმავლობაშიო, — დასძინა სააკაშვილმა და ისიც გაიხსენა, რომ ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის წილის მხრივ ასეთი მაღალი მაჩვენებელი ქვეყანას არასდროს ჰქონია.

როგორ ფიქრობთ, სჭირდება ამ ჭეშმარიტად უტყუარი მაჩვენებლის დანახვას სათვალის საგულდაგულოდ გაწმენდა? არა, რა თქმა უნდა, იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ თურმე უსათვალოდაც (გაწმენდაზე რომ აღარ გავისარჯოთ) მშვენივრად ჩანს, რომ **ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის წილით საქართველო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ბოლო ადგილზეა, რომ უცხოური ინვესტიციების მოცულობა ქვეყანაში, 2007 წლიდან მოყოლებული, შაგრენის ტყავივით ილევა.** ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებითაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ მთავრობის ოპონენტთა მტკიცებულებებზე, 2008 წელს უცხოური ინვესტიციებიდან შემოსული თანხა 2007 წლის 2 მილიარდი დოლარიდან მილიარდნახევრამდე შემცირდა, ხოლო 2009-ში მან მილიარდიც ველარ შეადგინა. კიდევ კარგი ამ გაჭირვების ჟამს ეკონომიკის მდგრადი მინისტრის ოპტიმიზმი მაინც შემოგვრჩა (ქობალიას პროგნოზით, წლის ბოლომდე 1 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვა), თორემ პრეზიდენტ სააკაშვილის უშრეტი ენთუზიაზმიც ველარ გვიშველიდა.

და ყოველივე ამის მიუხედავად, ალბათ, მაინც ღირს სათვალის გაწმენდა, რათა სალად შევხედოთ ქვეყნის დღევანდელ რეალობას და ბრმასავით არ გადავიჩეხოთ იმ უფსკრულში, საითაც სააკაშვილის ტარაბუცა ხელისუფლება გზააბნეული ყოჩივით ხალხს მიერეკება.

**ოთარ ხუციშვილი**

ალბომი

# „მაგთიკომი“ ქართულ საქმეს აგრძელებს

**ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან, რომ კომპანია „მაგთიკომი“ უამრავ კეთილ საქმეს აკეთებს. ისეთ საქმეებს, რომელთა ერთობლიობას მხოლოდ ნამდვილი ქართული საქმე ჰქვია.**

შეგახსენებთ, რომ კომპანიამ რამდენიმე წელია ქართველი მხატვრების შემოქმედების ამსახველი ალბომების გამოცემა დაიწყო და ამ გამოცემებით უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული სახვითი ხელოვნების საგანძურის გამდიდრებაში. შესანიშნავი პოლიგრაფიით შესრულებულმა ალბომებმა ხელი შეუწყო ქართული კულტურის პოპულარიზაციას როგორც ჩვენს მომავალ თაობაში, ასევე უცხოეთში.

გამოიცა ირაკლი ფარჯიანის, ედმონდ კალანდაძის, თემო ჯაფარიძის, რადიშ თორდიას, მერაბ აბრამიშვილისა და კოკი მახარაძის ნამუშევრების კატალოგები.

უკვე გამოცემულ ალბომებს კიდევ ერთი, დიმიტრი ერისთავის ალბომი შეემატა, რომლის პრეზენტაცია 8 დეკემბერს „მაგთიკლუბში“ გაიმართა.




შესანიშნავმა საზოგადოებამ, ნახატების ექსპოზიციამ და ცოცხალმა მუსიკამ მაგთიკლუბში გამართული საღამო სითბოთი და სიყვარულით აღავსო.

დიმიტრი ერისთავი 1931 წელს თბილისში დაიბადა. 1956 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია გრაფიკის განხრით. მისი პედაგოგები იყვნენ ლადო გრიგოლია, იოსებ შარლემანი, დუდა გაბაშვილი და სხვები.

**„არაჩვეულებრივი გამოცემაა, შეხედეთ რა ხარისხია. ამ კატალოგში თითქმის მთელი ჩემი შემოქმედებაა. დიდი მადლობა „მაგთიკომს“, რომ დღეს ეს წიგნი არსებობს. ძალიან გახარებული ვარ. გადაღებაზე პროფესიონალი ფოტოგრაფები მუშაობდნენ. ნახატები განაწილებულია წლების მიხედვით, აკადემიის დამთავრებიდან, ბოლო ნამუშევრამდე“** — თქვა დიმიტრი ერისთავმა.

ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული ალბომი, რომელიც გამომცემლობა „სეზანში“ დაიბეჭდა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის მზია ჩიხრაძის წერილით იხსნება. წერილში დიმიტრი ერისთავის ცხოვრებისა და შემოქმედების ანალიზია გაკეთებული.



ალბომის რედაქტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნანა შერვაშიძე, ხოლო მის მხატვრულ თუ ტექნიკურ გაფორმებაზე ფოტოგრაფი გია ჩხატარაშვილი, დიზაინერები ზურაბ მიმინოშვილი და პაატა ედილაშვილი, მთარგმნელები ციცო ხოცუაშვილი და ნინო ტორაძე და ქართული ტექსტის რედაქტორი ეკა მიქაბერიძე მუშაობდნენ.

კომპანია „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის თათული ღვინიაშვილის განმარტებით **„ეროვნული ფასეულობების საზოგადოებისთვის გაცნობა და მათი მომავალი თაობებისთვის შენახვა, უდავოდ ქართული საქმის კეთებაა. სწორედ ეს არის „მაგთიკომის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი თანამედროვე ქართველი მხატვრების პოპულარიზაციას უჭირავს. „მაგთიკომში“ მსგავსი ღონისძიებების ჩატარება ტრადიციად იქცა. კომპანიამ არა ერთი საზოგადო მოღვაწის განვლილი გზა შეკრა ერთ წიგნად. ჩვენი სპონსორობით უნიკალური წიგნები გამოიცა. ჩვენი სლოგანია „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ და კომპანია ამ სლოგანს ყოველთვის ამართლებს“.**

ქართველი მხატვრები დიმიტრი ერისთავი ნამუშევრებს, როგორც მხატვრის მიერ განვლილ გრძელ და ღრმა შემოქმედებით აღსავსე გზას აფასებენ და მას „60-იანელთა“, ანუ ინდივიდუალური ხელწერის, მსოფლაღქმის და საბჭოთა იდეოლოგიის ბარიერების დამძლევ ხელოვანთა რიგში აყენებენ.

**„დიმიტრი ერისთავი თავისი შემოქმედებით ქალაქური ცხოვრების მემატიანეა. გარდა იმისა, რომ ის არის უდიდესი გრაფიკოსი და მხატვარი, ის შესანიშნავი პედაგოგიცაა. რაც შეეხება „მაგთიკომის“ მიერ გამოცემულ კატალოგს, იგი ამ ნაცრისფერ ცხოვრებაში, უგემოვნობის კაკაფონიაში ნათელი წერტილია. დიდ მადლობას ვუხდი „მაგთიკომს“ იმისთვის, რომ მატიანეს ქმნის“** — თქვა მხატვარმა გია ხუციშვილმა.

კომპანია „მაგთიკომის“ განვლილი გზა, მათ მიერ განხორციელებული უამრავი პროექტი, რომლებიც არა მხოლოდ სატელეფონო ქსელის მომხმარებლებისთვის არის განკუთვნილი არამედ მთელს საქართველოს და მომავალ თაობას ეძღვნება, უდავოდ ამართლებს სლოგანს „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“.

კვლავ აგრძელებს „მაგთიკომი“ ეროვნული საქმის კეთებას, რაც პირველ რიგში იმას ნიშნავს, რომ წინ კიდევ უამრავი შესანიშნავი ღონისძიება გველოდება.

**გია გაბრიჭიძე**

## საჭადრაკო მოზაიკა

### შესვენებამ არგო



**საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ნაკრების ლიდერს ბადურ ჯობავას კარგა ხანია, ტურნირებში მონაწილეობა არ მიუღია. „შესვენების“ შემდეგ 64-უჯრიან დაფასთან დაბრუნება ტრიუმფით აღნიშნა: მილანში კრესპის საერთაშორისო მემორიალზე 9 შესაძლებლიდან 8,5 ქულა(!ძ მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.** ის ნახევარი ქულა უკრაინელ ვლადიმირ მალანიუკთან დათმო. ეს უკანასკნელი გამარჯვებულს ორი ქულით ჩამორჩა და მეორე იყო. შვიდმა მოჭადრაკემ 6-6 ქულა მოაგროვა. უკეთესი კოეფიციენტით მესამე ადგილი ვადიმ შიშკინს (უკრაინაძ ერგო.

### გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა

**ესპანეთის საერთაშორისო ტურნირში ორი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობდა – კონსტანტინე შანავა და თორნიკე სანიკიძე.** განსაკუთრებით შანავამ იყოჩაღა – ცხრა შესაძლებლიდან 6,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მესამე ადგილზე ხულიო გრანდა (პერუძ გავიდა. ტურნირის მთავარი პრიზი კი 7,5 ქულით უკრაინელმა სერგეი ფედორჩუკმა მოიპოვა.

### საგზურები განაწილდა

**საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში უმაღლესი ეშელონის 5 საგზურისთვის 41 ქალბატონი იბრძოდა.** ცხრატურიანი მარათონი შესანიშნავად განვლო დიდოსტატმა სოფიკო გურამიშვილმა, რომელიც 7,5 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა. ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა ნინო ბაციაშვილმა. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები სოფიო გვეტაძემ და მირანდა მიქაძემ გაინაწილეს. სამმა მონაწილემ 6-6 ქულას მოუყარა თავი. უკეთესი კოეფიციენტით ინგა ჭარხალაშვილმა ზემოთ დასახელებულ ოთხ მოჭადრაკესთან ერთად უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.

**გივი გაგუა**

## ინტერნეტიდან

### ორი ტიტული დაკარგა და მოიპოვა



**ეს მოხდა ვაშინგტონში. 27 წლის ამერიკელმა ლამონტ პიტერსონმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა პირველ ქვესაშუალო წონაში WBA და IBF ვერსიებით, სენსაციურად დაამარცხა რა ახლა უკვე ამ ტიტულების ყოფილი მფლობელი, 24წლის ბრიტანელი ამირ ხანი.**

ორთაბრძოლა ისე როდი წარიმართა, როგორც სპეციალისტები და ბუკმეკერების კანტორები მოელოდნენ. პირველ რაუნდში ორივე მოკრივემ ერთმანეთს ზუსტად დაარტყეს, შემდეგ კი ხანმა მეტოქეს თავში იდაყვი დაარტყა და პიტერსონი წააქცია, რაც მსაჯებმა შეცდომით ნოკდაუნად ჩათვალეს.

მეშვიდე რაუნდის ბოლოს მსაჯებმა ხანს ხელის კვრისთვის ქულა ჩამოართვეს, შემდეგ კი ანალოგიური დარღვევისთვის მეთორმეტე რაუნდში მას კიდევ ერთი ქულა წაართვეს.

სწორედ ამიტომ ვერ შეინარჩუნა ჩემპიონის ქამრები ამირ ხანმა. მსაჯების საბოლოო გადაწყვეტილება ასეთია: ორჯერ 113:112 პიტერსონის სასარგებლოდ, 114:111 ხანის სასარგებლოდ. ამ უკანასკნელს იმედი არა აქვს, რომ მას რევანშის ნებას მისცემენ.

### ფედერერის ახალი სახლი

**მიმავალი წლის ბოლომ ნამდვილად გაახარა შვეიცარიელი ჩოგბურთელი როჟე ფედერერი – სეზონი ხომ ლონდონში ATP დასკვნით ტურნირზე გამარჯვებით დაამთავრა.** თანაც სულ მალე ახალმოსახლეობასაც იზეიმებს – მან 17,5 მილიონ დოლარად ღირებული ვილა აიშენა შვეიცარიის ალპებში. ვილა ააშენა სამთო კურორტ ლენტერ ჰაილემში ტბის ნაპირას. მამულის ფართობი 8 ათას კვადრატულ მეტრზე მეტია. ეს ადგილი მან ჯერ კიდევ 2008 წელს იყიდა. 2010 წელს კი დაიწყო მშენებლობა შვეიცარიელი არქიტექტორის შურერ მაურუს ფრაის პროექტით.

ისე რომ, ფედერერის ცოლსა და ორ ბავშვს შეუძლია იქ დროსტარება, როცა სახლის პატრონი ფულს აკეთებს დანახარჯის ასანაზღაურებლად.

### პოდიუმის დედოფალი



**ასე უწოდებენ კეიტ მოსს, სამუშაოზე დამქირავებლების რიგი რომ უდგას. მისმა თაყვანისმცემლებმა უკვე დაიტაცეს 2012 წლის კალენდარი Pirelli, სადაც ის გადაღებულია ვიწრო საცურაო კოსტიუმში, მკერდს მხოლოდ ნაწილობრივ რომ უფარავს, რითაც ბრიტანელმა მოდელმა თავისი ქომაგები პიკანტური გულახდილობით გადარია.**

ლამაზმანი გახდა ფრანგული საიუველირო კომპანიის Fred სახე, ის ხომ სწორედ მისთვის გაშიშვლდა. თუმცა ინტიმური ნაკვთები ხელით დაიფარა. მსგავსი რამ ბოლო დროს, შეიძლება, გენახათ ქალთა ჟურნალის Vogue ბრაზილიური ვერსიის მაისის ნომერში „სამპდორიისა“ და „პარმის“ მცველის სტეფანო ბეტარინის ყოფილი გულისვარდი ფოტოკამერას რომ შეჰყურებს.

## ძიუდო

### ცირეკიძის „ბრინჯაო“ და იაპონელთა ტრიუმფი



**გასულ უქმეებზე ტოკიოში ძიგორი კანოს საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, შეჯიბრებაში მსოფლიოს უძლიერესი ფალავნები მონაწილეობდნენ. მათ შორის იყო ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე, რომელიც 100 კილოში ცდიდა ძალებს.** ჩვენებურმა ელვისებური ილეთებით ზედიზედ ორი იპონი მიითვალა – ჯერ არგენტინელი კრისტიან შმიდტი დაამარცხა, მერე იაპონელ ტაცუკი მასუბუშის აჯობა, თუმცა ამ უკანასკნელთან ჭიდაობისას ნეკნი იტკინა და მესამე წრეში უზბეკ რამზადინ საიდოვთან გამაყუჩებლებით იასპარეზა. სამწუხაროდ, ნახევარფინალში ტატამზე გასვლა ვერ შეძლო და რუს სერგეი სამოილოვიჩს, რომელსაც შარშან მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე რომ მოუგო, უბრძოლველად აუნთო მწვანე შუქი ფინალისკენ. თავად კი ბრინჯაოს მედალს და 120 სალიცენზიო ქულას დასჯერდა. ახლა ცირეკიძეს 598 სარეიტინგო ქულა აქვს და სალიცენზიო სანუკვარ 22-კაციან ზონაში შევიდა. იქ დამკვიდრება კი ავტომატურად იძლევა ლონდონის ოლიმპიადის საგზურს, თუმცა, მას ამ წონაში კონკურენციას უწევს ლომერ ჟორჟოლიანი. ორივე ქართველი ფალავანი მომავალ უქმეებზე ჩინეთის „დიდ პრიზზე“ გამოვა და მათ შორის უძლიერესიც, ალბათ, იქ გაირკვევა.

რაც შეეხება ძიგორი კანოს ტურნირს, 100 კილოში სამოილოვიჩი ამ ასპარეზობის შარშანდელ გამარჯვებულს, კორეელ ჰე ტაე ჰვანგს (გასულ წელს ფინალში და წლეულს ნახევარფინალში კორეელმა იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონ ტაკამასა ანაის აჯობაძ დაუპირისპირდა. ჰვანგი შეხვედრას ვაზარი-იუკოთი იგებდა, მაგრამ გონგამდე 11 წამით ადრე ფეხებში ხელით შესვლის გამო მსაჯებმა იგი მოხსნეს და რუსს „ოქრო“ ხონჩით მიართვეს. დანარჩენ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: ჰიროფუმი იამამოტო (60ძ, ტომოფუმი ტაკაო (66ძ, ჰიროუკი აკიმოტო (73ძ, ტომოჰირო კავაკამი (81ძ, მასაში ნიშიამა (90, ყველა – იაპონიაძ, ალექსანდრ მიხაილინი (+100, რუსეთიძ.

**ლექსო ცინცაძე**

## კალათბურთი

### საშობაო რეკორდები



**სუპერლიგის IX ტურის ხუთივე შეხვედრაში უთანასწორო ბრძოლა გაჩაღდა, თუმცა იმ დღეს გამართული ერთი შეხედვით რიგითი მატჩები ქუთაისელთა ცენტრალური თავდამსხმელის რიჩარდ მათიაშვილისა და „ოლიმპის“ გამთამაშებლის ლაშა გამყრელიძის მიერ შესრულებულმა სამმაგმა „დუბლებმა“ დაამშვენა.**

აღსანიშნავია აგრეთვე „არმიის“ დაუმარცხებელი და „ბათუმ“-„რუსთავის“ მოუგებელი სერიების გაგრძელება, თუმცა მოდით ძირითადი სათქმელი ციფრების ენით ვთქვათ.

**„არმია“ – „ბათუმი“ 102:68. ყველაზე შედეგიანები:** ვუდსაიდი – 19 ქულა, 6 პასი, 4 ჩაჭრა („არმია“ძ; ვანო მაისურაძე – 21 ქულა („ბათუმი“ძ. **შსს – „სამედიცინო“ 105:80. ყველაზე შედეგიანები:** ბლერი – 33 ქულა (შსსძ, ბექაური – 21 ქულა, 12 მოხსნა („სამედიცინო“ძ, **სტუ – „ქუთაისი“ 78:107. ყველაზე შედეგიანები:** ხანიაშვილი – 17 ქულა (სტუძ, გიორგი ბარბაქაძე – 31 ქულა, დავით ბარბაქაძე – 18 ქულა, მათიაშვილი – 12 ქულა, 11 მოხსნა, 13 პასი („ქუთაისი“ძ, **„ოლიმპი“ – „დინამო“ 99:66. ყველაზე შედეგიანები:** გამყრელიძე – 27 ქულა, 14 პასი, 10 მოხსნა („ოლიმპი“ძ, დეივი – 15 ქულა („დინამო“ძ, **„რუსთავი“ – თსუ 81:103. ყველაზე შედეგიანები:** ჩაჩანიძე – 25 ქულა („რუსთავი“ძ, შერმადინი – 24 ქულა, ფანჩულიძე, ზურაბ მაისურაძე – 23-23 ქულა (თსუძ.

**სატურნირო მდგომარეობა:** „არმია“ – 8, „ქუთაისი“, „ოლიმპი“ – 7-7, „სოხუმი“ – 6, შსს, თსუ – 4-4, „სამედიცინო“, „დინამო“, სტუ – 3-3, „ბათუმი“, „რუსთავი“ – 0 მოგება.

* * *

**დღეს „არმია“ ევროჩელენჯის ჯგუფური ტურნირის დასკვნით მატჩს ჰოლანდიაში „ლეიდენთან“ გამართავს. პლეი-ოფში გასასვლელად კოტე ტუღუშის გუნდს, უარეს შემთხვევაში, 3-ქულიანი წაგების უფლება აქვს. ვიმედოვნებთ, ყველაფერი კარგად დასრულდება.**

## ფეხბურთი

### აქეთურ-იქითური

**ხვალ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ 17 საათიდან შემოგვთავაზებს XXIII ეროვნული ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს „ზესტაფონი“ – თბილისის „დინამო“.**

გათამაშების ლიდერთა ცენტრალურ შეხვედრას წინ უძღოდა გენერალური რეპეტიციები, რომლებიც მეტოქეებმა XVIII ტურში გამართეს, თუმცა ტურნირის უთავბოლო სისტემამ ფავორიტებს საშუალება მისცა, მთავარი დამრტყმელი ძალები დაესვენებინათ. ვერც გაამტყუნებ კაცი – აუტსაიდერებთან მოპოვებული ქულები ხომ მოწინავე რვეულს მორიგ ეტაპზე აღარ გადაჰყვება.

**„დინამო“ – „კოლხეთი“ 1:1**

უმოტივაციო თამაში მასპინძლებმა რამდენიმე ლიდერის, მათ შორის ესპანელ ბომბარდირ ჩისკოს გარეშე დაიწყეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ციცხვაიამ პენალტით დააწინაურა ფაზისელები, ალექს გარსია იძულებული გახდა საშველად კოშკაძისა და რობერტინიოსთვის ეხმო. არც შემცდარა – სწორედ მათ კომბინაციას მოჰყვა ალეკოს საპასუხო გოლი.

**დანარჩენი შედეგები:** „დილა“ – „მერანი“ 3:0, „ზესტაფონი“ – „სიონი“ 1:0, „ცხინვალი“ – „გაგრა“ 2:1, „ქუთაისი“ – „მეტალურგი“ 3:0, „ვიტ ჯორჯია“ – „ბაია“ 4:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ზესტაფონი“ – 35, „ტორპედო“ – 34, „დინამო“ – 33, „მერანი“, „მეტალურგი“ – 26-26, „ბაია“ – 23, „ვიტ ჯორჯია“ – 20, „ცხინვალი“ – 19, „გაგრა“ – 18, „დილა“, „კოლხეთი“ – 14-14, „სიონი“ – 7 ქულა.

**ბომბარდირები:** ჩისკო („დინამო“ძ, ტატანაშვილი („მეტალურგი“) – 9-9 გოლი.

**18 დეკემბერს ითამაშებენ:**

„კოლხეთი“ – „ცხინვალი“, „მეტალურგი“ – „ზესტაფონი“, „გაგრა“ – „ვიტ ჯორჯია“, „ბაია“ – „ტორპედო“, „სიონი“ – „დილა“, „მერანი“ – „დინამო“.



* * *

**იტალია.** „ბოლონია“ – „მილანი“ 2:2, „ინტერი“ – „ფიორენტინა“ 2:0, „ნოვარა“ – „ნაპოლი“ 1:1, „უდინეზე“ – „კიევო“ 2:1, „ლეჩე“ – „ლაციო“ 2:3.

**ესპანეთი.** „რეალი“ – „ბარსელონა“ 1:3, „ბეტისი“ – „ვალენსია“ 2:1, „ესპანიოლი“ – „ატლეტიკო“ 4:2, „ლევანტე“ – „სევილია“ 1:0, „ბილბაო“ – „რასინგი“ 1:1.

**ინგლისი.** „მანჩესტერი“ – „ვულვზი“ 4:1, „არსენალი“ – „ევერტონი“ 1:0, „ნორვიჩი“ – „ნიუკასლი“ 4:2, „ლივერპული“ – „ქპრ“ 1:0, „სტოკი“ – „ტოტენჰემი“ 2:1.

**გერმანია.** „შტუტგარტი“ – „ბაიერნი“ 1:2, „ბორუსია“ – „კაიზერი“ 1:1, „ვერდერი“ – „ვოლფსბურგი“ 4:1, „ჰანოვერი“ – „ლევერკუზენი“ 0:0, „აუგსბურგი“ – „გლადბახი“ 1:0.

## სანთელი

# ნათელი დაგადგეთ, ბატონო ნოდარ!



ადამიანის გარდაცვალება მუდამ იწვევს სევდას და ცრემლს მისი მეგობრების გულში, მაგრამ ერთი ათად მეტია ცრემლებიცა და გულისტკივილიც, როდესაც ისეთ ადამიანზეა საუბარი, როგორიც ბატონი ნოდარ ემუხვარი იყო.

რაოდენ მძიმეა ეს სიტყვა — „იყო"! არადა, ახლახან იგი აქტიურად მონაწილეობდა „ენგურჰესის" სამმართველოში ენგურის თაღოვანი კაშხლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გამართულ შეკრებაზე. მაგრამ მაინც დღეს მასზე ვამბობთ — „იყო"! იყო და მისი სახელი მუდამ დარჩება ჩვენი სახელოვანი კოლექტივის მეხსიერებაში, როგორც უზადო პიროვნების, ჭეშმარიტი მამულიშვილის და პატრიოტის სახე! საოცრად დიდია ბატონი ნოდარ ემუხვარის ცხოვრებისეული გზა.

აფხაზ დიდებულთა დიდებული შთამომავალი კაცური ნაბიჯებით მიუყვებოდა ცხოვრების ბილიკებს და სადაც გაივლიდა, მუდამ ტოვებდა სახელოვან ნაკვალევს. ბატონმა ნოდარმა 1951 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი მშენებლის სპეციალობით, 1975 წელს — საკავშირო ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის მართვის კურსები, 1985 წელს — საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი, მაგრამ საქმე მარტო ინსტიტუტებისა და კურსების დამთავრება როდია, მთავარია იქ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკაში გამოყენება! და სწორედ იქ, ადგილზე, შრომითს არენაზე იწერებოდა ბატონი ნოდარის ბრწყინვალე ბიოგრაფია.

1951–54 წლებში მუშაობდა „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის ორთაჭალჰესის მშენებლობის ოსტატად. 1954–61 წლებში — ხრამჰესის სამუშაოთა მწაროებლად, უბნის უფროსად, განყოფილების გამგედ და მთავარი ინჟინრის მოადგილედ. სწორედ აქედან ჩამობრძანდა იგი ენგურჰესის მშენებლობაზე და დაიწყო მუშაობა მთავარ ინჟინრად. სწორედ აქ, ენგურზე, გაგრძელდა მისი სახელოვანი ბიოგრაფია და ენგურზევე დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა, — მწყობრში ჩადგა რესპუბლიკაში ერთ-ერთი უმძლავრესი ჰიდროელექტროსადგური! იქ, ენგურზე, მის უნიკალურ კაშხალთან, მისი კასკადების საუფლოში მოიხვეჭა მან უდიდესი ავტორიტეტი და სიყვარული.

მის მაღალ პროფესიონალიზმს ყურს უგდებდნენ საერთაშორისო სემინარებზე თუ კონფერენციებზე, როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე იტალიის, გერმანიის, ავსტრიის, თურქეთის და სხვა ქვეყნების ჰიდრომშენებლები და მუდამ საყურადღებო იყო მისი გამოსვლები, ამიტომ აირჩიეს ბატონი ნოდარი რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

1983 წლიდან ბატონი ნოდარი ბრძანდებოდა ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო-საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

საქართველოსთვის ილვწოდა აფხაზი თავადი თავადური სიამაყით და სამშობლო ჰქონდა ერთი — დედა საქართველო! ჰქონდა გული დაკოდილი, დაკოდილი მამულის გამო!

ენგურჰესელებს დიდად დაგვაკლდება იმ კაცის სახება, რომელმაც ბოლო სიტყვად დაგვიტოვა სულ ახლახან, მიმდინარე წლის ნოემბერში, თავისი გულწრფელი სიტყვა:

— ვარ სამი აკადემიის ნამდვილი წევრი, მაგრამ მეოთხე, ყველაზე დიდი აკადემია ჩემთვის იყო ენგურჰესი! მიმაჩნია, რომ ენგურჰესი დღეს საიმედო ხელშია!

ამიტომ წუხს მთელი ენგურჰესის კოლექტივი თქვენი გარდაცვალების გამო, ბატონო ნოდარ!

ნათელი დაეფინოს თქვენს ნათელ სახეს!

ენგურჰესის თანამშრომლები

---



ემუხვარების საგვარეულო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გვარის ღირსეული წარმომადგენელი, ენგურჰესის მშენებლობისა და საქართველოს საქჰიდროპროექტის მთავარი ინჟინერი, საქართველოს ეროვნული ენერგეტიკისა და ფიზიკის აკადემიის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს ელექტროენერგეტიკის დამსახურებული მუშაკი

**ნოდარ დიმიტრის ძე ემუხვარი**

გამოსვენება ჭავჭავაძის გამზ. 39, 14 სთ.

---

ნოდარ ჭითანავა, ოთარ ფაცაცია, გივი ანჩაბაძე, ბონდო ჯიქია, ვახტანგ კვარაცხელია, გიორგი ნაჭყებია, ბაკურ გულუა, ანზორ ჭითანავა, გრამიტონ კვარაცხელია, კლიმენტი ჯანჯღავა, გურამ გუნავა, გიორგი შალამბერიძე, ვახტანგ ყოლბაია, თამაზ სარალიძე, ნოდარ შარტავა, აკაკი სარალიძე, ვალერი ჭანტურია, ალეკო კაკულია, ოთარ ჭითანავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ჰიდრომშენებელი, ქართველი და აფხაზი ხალხებისთვის დამახასიათებელი ყველა საუკეთესო თვისებების მქონე პიროვნება, ჭეშმარიტი პატრიოტი, საუკეთესო მეგობარი და უღალატო ადამიანი

**ნოდარ დიმიტრის ძე ემუხვარი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალექსანდრე კუჭუხიძე, აკადემიის პრეზიდიუმის წევრები თამაზ იმედაძე, პარმენ ლემონჯავა, ნოდარ ჭითანავა, ლეო ჩიქავა, ზაურ ჯინჯოლავა, გია მალაშხია, ჯიმი მიქელაძე, ნიკოლოზ ნეფედოვი, თეიმურაზ ბაბუნაშვილი, რომან კუჭუხიძე, თამაზ დანელია, დემურ ღლაღანიძე, ევგენი ბარათაშვილი, გურამ ჯოლია, ანზორ აბრალავა, ნუგზარ პაიჭაძე, რევაზ გოგოხია, გულთაზ ლაბარტყავა, სოსო ძნელაძე სამძიმარს უცხადებენ ამავე აკადემიის აკადემიკოსს ჯემალ ჯინჯოლავას დედის

**იუსტინე ლევანის ასული ბერულავას**

გარდაცვალების გამო.

## ხსოვნა

# ვახტანგ გაბრიჩიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-პედაგოგიურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა უმაღლესი განათლების გამორჩეული მოღვაწე, ახალგაზრდა საინჟინრო კადრების მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი, შეუბღალავი სახელისა და მაღალი ადამიანური ღირებულებების მატარებელი პიროვნება, პროფესორი ვახტანგ დავითის ძე გაბრიჩიძე.



მოულოდნელად შეწყდა სულით ხორცამდე ქვეყნისა და ხალხის საქმისთვის თავდადებული ქართველი კაცის სიცოცხლე, რომელსაც არც ერთი დღე არ უცხოვრია მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელზე, მისი სტუდენტობის ნათელ მომავალზე ფიქრისა და განცდების გარეშე.

ბატონი ვახტანგი დაიბადა 1938 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითში. 1957 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1962 წელს წარჩინებით დაამთავრა და დატოვეს ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საპრობლემო ლაბორატორიის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

ბატონი ვახტანგი ცნობილი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ნიკოლოზ გაბაშვილის მიერ დაფუძნებული ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი გახლდათ. იგი 1964-1971 წლებში საპრობლემო ლაბორატორიის უფროს ინჟინრად მუშაობდა. ამ პერიოდში მან თავისი სამეცნიერო საქმიანობა მსწავლებელ სისტემებთან დაკავშირებული პრობლემების კვლევას მიუძღვნა და ამ საკითხზე მრავალი საყურადღებო შრომა გამოაქვეყნა.

1971 წელს ვ. გაბრიჩიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და აირჩიეს ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრის ასისტენტად, შემდგომ — უფროს მასწავლებლად, ხოლო 1976 წელს მას დოცენტის წოდება მიენიჭა.

1972 წელს ბატონი ვახტანგი დაინიშნა ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. ამ პერიოდიდან მოყოლებული, იგი 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საინჟინრო ფაკულტეტის სასწავლო პროცესს.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ვ. გაბრიჩიძის მოღვაწეობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, შემდეგ კი — დეკანად. იგი, როგორც უმაღლესი სკოლის თავდადებული მუშაკი, რეფორმების დაწყებისთანავე ძალასა და ენერგიას არ იშურებდა ფაკულტეტზე სასწავლო პროცესში უახლესი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვისა და კომპიუტერული წიგნიერების დასამკვიდრებლად.

ბატონ ვახტანგს, როგორც მოწოდებით პედაგოგს, განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა სტუდენტ-ახალგაზრდობასთან, რომელიც მას დიდ პატივს მიაგებდა, როგორც უაღრესად გულითად და მაღალი კომპეტენციის მასწავლებელსა და მეცნიერს. იგი მოღვაწეობის ბოლო წლებში ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის სრული პროფესორის თანამდებობაზე მუშაობდა. მას მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

წავიდა ჩვენგან თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, სამაგალითო ქართული ოჯახის თავკაცი, ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი და ეროვნული ტექნიკური ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი, რომლის სახელს დიდხანს არ დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა.

ნათელში დაუმკვიდროს უფალმა ბატონ ვახტანგის სულს სამუდამო სასუფეველი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების
ფაკულტეტი.

---



მეუღლე მაყვალა რატიანი, შვილები ლევანი, ლაშა, და ივეტა, ძმა რომანი, ცოლისძმა გია რატიანი, რძლები ლია ადამია, ნინო ლომიძე, ნანა ზაბელაშვილი, შვილიშვილები ლევანი, დავითი, ლაშა, ნიკოლოზი, ლუკა, ახლო ნათესავები და მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ემზარ იასონის ძე კიზირია**

პანაშვიდი 13, 14 XII, მისამართი: თამარაშვილის 4ა, მესამე სადარბაზო, მეოთხე სართული, ბინა 51. გამოსვენება 15 XII, სამების საკათედრო ტაძრიდან 14 სთ.

---

თენგიზ კალანდაძე ოჯახით მწუხარებით თანაუგრძნობს ლია და რომან კიზირიებს და მათი ოჯახის წევრებს

**ემზარ იასონის ძე კიზირიას**

გარდაცვალების გამო.

---

გურამ გუნავა ოჯახით მწუხარებას გამოხატავს

**ემზარ იასონის ძე კიზირიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ძმას, რომან კიზირიას ოჯახს და სხვა ჭირისუფალთ.

---

გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებას გამოხატავს

**ემზარ იასონის ძე კიზირიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ძმას, რომან კიზირიას ოჯახს და სხვა ჭირისუფალთ.

---

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მწუხარებას გამოხატავს

**ემზარ იასონის ძე კიზირიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ძმას, რომან კიზირიას ოჯახს და სხვა ჭირისუფალთ.

---

რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია ოჯახებით თანაუგრძნობენ მეგობარს რომან კიზირიას ძმის

**ემზარ იასონის ძე კიზირიას**

გარდაცვალების გამო.

---

მარინა კანდელაკი მწუხარებით თანაუგრძნობს ლია და რომან კიზირიებს და მათი ოჯახის წევრებს

**ემზარ იასონის ძე კიზირიას**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალექსანდრე კუჭუხიძე, ვიცე-პრეზიდენტები თამაზ იმედაძე, პარმენ ლემონჯავა, აკადემიის პრეზიდიუმის წევრები ნოდარ ჭითანავა, ლეო ჩიქავა, თეიმურაზ ბაბუნაშვილი, რომან კუჭუხიძე, თამაზ დანელია, გულთაზ ლაბარტყავა, ჯიმი მიქელაძე, ნიკოლოზ ნეფედოვი, ბორის სარალიძე, ანზორ აბრალავა, გიორგი ხაზარაძე, გურამ გვეტაძე, დემურ ღლაღანიძე, სოსო ძნელაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქრისტესმიერი დიდი მამულიშვილის, სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი მესაჭის, მსოფლიოში ფართოდ აღიარებული არქიტექტორის, აკადემიკოს

**ემზარ იასონის ძე კიზირიას**

მაჯისცემის შეწყვეტას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, დისა და ძმის, ნათესავების, მეგობრებისა და მეზობლების ოჯახებს.

---

ედუარდ შევარდნაძე ოჯახით მწუხარებით თანაუგრძნობს ბატონ რეზო ამაშუკელს მისი ძმის, ღირსეული მოქალაქის

**გურამ ამაშუკელის**

გარდაიცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მისი ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

პატივისცემით,
ედუარდ შევარდნაძე
12/12/2011წ. თბილისი

---

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ისტორიკოსი, ღირსეული მოქალაქე და თბილისის კოლორიტი

**გურამ ამაშუკელი**

**(„პუანკარე")**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია გულწრფელად თანაუგრძნობს ბატონ რეზო ამაშუკელს ძმის

**გურამ ამაშუკელის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მხატვარი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი

**მანანა ბობოხიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თანაკლასელები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ გულითადი მეგობრის, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებლის, ერთგული, დასაყრდენი ადამიანის

**მარლენ ცაცუას**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

# ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ გაჯიხურებულ-გაჯახირებული ხელისუფლებისგან

დღეს, როცა ხელისუფლება საგაზეთო ჯიხურებს დაერია და ბეჭდური მედიის გავრცელება სრულიად გამიზნულად(!!!) კიდევ უფრო შეიზღუდა, განსაკუთრებული ფასი დაედო გაზეთებზე ხელმომწერთა სიმრავლეს.

ტრადიციული პრესის, თქვენთვის სასურველი ნებისმიერი გაზეთის ბედი ახლა თქვენს აქტიურობასა და თანადგომაზეა დამოკიდებული. ყველაფერთან ერთად, ეს ჩვენი საერთო პრესტიჟის საქმეცაა — ქართული პრესის მოძულე ხელისუფლება ოპოზიციური, პრინციპული, სამართლიანი გაზეთების დამცრობა-გაკოტრებით არ უნდა გავახაროთ!



მრავალრიცხოვანი ხელმომწერი, ბევრი გონიერი მკითხველი ჩვენი სულიერი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება-გაჯანსაღების აუცილებელი პირობაა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ თითქმის საუკუნოვანი (გამოდის 1918 წლიდანძ გამოცემაა და თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, ეროვნული ღირსებისა და ცნობიერების გადარჩენისთვის მებრძოლი გაზეთია!

იგი ჩვენი უახლოესი წარსულისა და დღევანდელობის მართალი მატიანეა.

პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ყოფა, კულტურა და სპორტი, ღირსეულ ადამიანთა პატივგება, სატირა და იუმორი... „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე ყველაფერია, რაც კი ჟურნალისტის კალამმა შეიძლება შექმნას.

განსაკუთრებული ჟამი გვიდგას. ამიტომაც, ვისაც ჯერ კიდევ არ გამოგიწერიათ „საქართველოს რესპუბლიკა“, შეგახსენებთ, რომ 2012 წლისთვის უამგაზეთოდ არ დარჩეთ. თითოეულ ქართულ ოჯახს, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს, უნივერსიტეტებსა და სკო-

საქართველოს რესპუბლიკა

ლებს, ყველას, შეუზღუდავად შეგიძლიათ გამოიწეროთ ჩვენი გაზეთი და მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად ითანამშრომლოთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“.

**შეგახსენებთ იმ გამავრცელებელ ორგანიზაციებს და მათს ტელეფონის ნომრებს, რომლებიც დაუბრკოლებლად გამოგიწერენ ყოველდღიურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“: მაცნე – 2 37 61 53; პლანეტა ფორტე – 2 93 38 75; საქპრესა – 2 51 59 05; პრეს-ექსპრესი – 2 96 23 11; ჯეომედია – 2 95 51 70; ელვასერვისი – 2 38 80 02; ინფო-2007 – 2 34 11 40; პრესა+ – 2 14 23 97; პილონი – 2 34 77 43.**

**რაიონებში ხელმოწერის გაფორმება შეგიძლიათ პრესის გამავრცელებელ ნებისმიერ ორგანიზაციაში.**

**ხელმოწერის ფასია 10 ლარი – ერთი თვით, 30 ლარი – სამი თვით, 60 ლარი – ექვსი თვით, 120 ლარი – ერთი წლით.**

ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ და გაზეთი ავაღორძინოთ!

**გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ – თქვენი უპირველესი მეგზური და მეგობარი!**

**ხელმოწერა დაუბრკოლებლად შეგიძლიათ გააფორმოთ უშუალოდ რედაქციის ოფისში – გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. №19. ტელეფონი: 2 99 62 77.**

**ჩვენო ძვირფასო მაღალგემოვნებიანო მკითხველო, ვინც „საქართველოს რესპუბლიკას“ ენდობი**

მიდი, ჯიხურში ყოველდღე
ჩვენი გაზეთი იკითხე,
თუ ჭურში ჯდომა არ გინდა,
შეიძინე და იკითხე!..

**ხოლო გამოწერა თვეში სულ 10 ლარი დაგიჯდება, სამაგიეროდ ყოველ დილით ცინცხალ ნომერს მიიღებ!..**

ცნობისმოყვარეთათვის

## სად, რა, როდის?

● „სუფრასთან მსხდომნი არ ბერდებიან“, — ამბობენ გურმანი იტალიელები.

● რუსები ამბობენ: „მგელივით მშიერი“, გერმანელები ამბობენ, „დათვივით მშიერი“, ხოლო ინგლისელები — „მონადირესავით მშიერი“.

● სულით ავადმყოფებს ამერიკაში „არასრულ დოლარს“ ეძახიან.

● აღმოსავლური ლეგენდის თანახმად, ერთმა ბრძენმა ქაღალდზე ხაზი გაავლო და მეორე ბრძენს სთხოვა, დაემოკლებინა ისე, რომ მას არ შეხებოდა. მოხერხებულმა ბრძენმა პირველი ხაზის გასწვრივ უფრო გრძელი გაავლო.

● 1479 წელს შვეიცარიაში ლოზანის ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ მაისის ხოჭო არ ყოფილა ნოეს კიდობანში და ის დაწყევლა.

● გადმოცემით ეს გამოცანა სოლომონის დროინდელია: „იზრდება მინდორში ფრინველთა გასახარად, თევზების დასაღუპად, მდინარეებისთვის ღირსების შესამატებლად, ღარიბებისთვის — სირცხვილად, ხოლო მიცვალებულისთვის — გასაპატიოსნებლად და მას სახელად ჰქვია — სელი.

● ლეგენდის თანახმად, ღმერთმა ზეცაში ეტლითა და ცხენებით აიტაცა ელია.

● ამერიკის შეერთებულ შტატების ცნობილ ქალაქ ლას-ვეგასს ადგილობრივი მკვიდრნი „ალერსიან ქურდს“ უწოდებენ.

● „ყველა გამარჯვება მხოლოდ და მხოლოდ ილუზიაა“, — ამბობდნენ ძველი ბერძნები.

● დედამიწაზე პირველი მკვლელი კაენი იყო, რომელმაც მოკლა თავისი ძმა აბელი, ხოლო რომის ისტორიაში პირველი ძმის მკვლელი იყო რომული, მან რემი მოკლა.

● 1389 წელს დანიისა და ნორვეგიის დედოფალმა მარგარეტმა „ჯვაროსნული ომი“ გამოუცხადა მეკობრეებს და მათი ბაზები გაანადგურებინა. ბევრი მეკობრე სიკვდილით დასაჯეს. ყველა მათგანს ჰქონდა უკანასკნელი სურვილის თქმის უფლება. მათ შორის ერთ-ერთმა, ყველაზე უფრო სასტიკმა მეკობრემ მტერტერბეკერმა ისურვა იმდენი მეკობრის გათავისუფლება, რამდენსაც ის თავმოკვეთილი ჩაურბენდა — ამგვარად მან 11 თანამებრძოლი გადაარჩინა.

● მითების მიხედვით, პრომეთეს მიეწერება აგურის სახლის გამოგონება, კითხვა და ანგარიში, იალქნიანი ხომალდი, წამლები, აგრეთვე რკინის, სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს აღმოჩენა, მაგრამ ის მაინც დაისაჯა ხალხისთვის ცეცხლის მოპოვებისთვის.

● ძველი რომაელები ახალ წელს ერთმანეთს უძღვნიდნენ სიმბოლურ საჩუქრებს: ოქრო სიმდიდრეს ნიშნავდა, თაფლი კი კეთილდღეობას, ხოლო მზის, ანუ სინათლის და სითბოს სიმბოლოდ სანთელს მიიჩნევდნენ.

● უკრაინული მითის თანახმად, დედამიწაზე, როდესაც ყველა მდინარე და ჭა დაშრა და ადამიანები შიმშილისა და წყურვილისგან იღუპებოდნენ, ღმერთმა შეისმინა ხალხის მუდარა, დედამიწაზე ჩამოუშვა ღრუბელი და გადააქცია ცხოველად, რომლისგანაც გამოედინებოდა მდინარეები, ის არწყულებდა და ანაყრებდა ყველა ცოცხალ არსებას დედამიწაზე — ეს იყო ძროხა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

დიდი პოლიტიკოსები ჩვენში ორ ნაწილად იყოფიან. პირველს განეკუთვნებიან ისინი, რომელთაც ბევრი სიგლახე აქვთ ჩადენილი, მეორეს კი ისინი, ვისაც კარგი არაფერი გაუკეთებია. ეს უკანასკნელნი ხალხში მეტი პოპულარობით სარგებლობენ.

* * *

ყველაზე დიდი სტუდენტური სიცრუე — „გამოყენებული ლიტერატურის სია“.

* * *

აქვითინებული გოგო ბიჭს საყვედურობს:

— შენ დამპირდი, რომ ცოლად შემირთავდი, მაგრამ თურმე ერთობოდი, ჩემთან დროს ატარებდი, მერე კი არ შემირთე! ყველა მამაკაცი ასეთი უნამუსო ხართ!

— მე რას მერჩი! სხვები დაპირებითაც არ გპირდებიან რამეს!!!



* * *

ჩაკ ნორისმა ხელყუმბარა ისროლა და 50 კაცი მოკლა. შემდეგ კი ის ყუმბარა აფეთქდა.

* * *

ღალატი მეცნიერულად — კვალიფიკაციის ამაღლების კურსები...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24